№ 2915
პარასკევი,
23 სექტემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2915
პარასკევი,
23 სექტემბერი

[illegible]: ქალაქში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

მთავარდიაკონი ტფილისის ვაჟთა 1-ლ გიმნაზიისა იოსებ მიხეილის ძე დავიდოვი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 21 სექტემბერს მძიმე და ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

დარია ივანეს ასული დავიდოვისა

მიცვალებულის გამოასვენებენ 24 სექტემბერს, 9 საათზე ვერის ნიკოლოზის საყდარში, ხოლო დაკრძალვენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—2)

ორშაბათს, ოცდა ექვს სექტემბერს დილის 10 საათზე სოფელს მეჯვრისხევში გადახდილ იქმნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

თ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძის ერისთავის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **კნეინა ალექსანდრა დავითის ასული ერისთავისა** შვილებითურთ და თავადი **შალვა ალექსანდრეს ძე ერისთავი.** (1—1)

ეკატერინე დიმიტრის ასული, თამარი, ელენე და ქეთო ქაიხოსროს ასულნი ფურცელაძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი დედის, ხოლო დანარჩენნი დიდედის

ანნა გიორგის ასულის ღვინიაშვილისას

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, ბაგრატიონის ქუჩა, სახლი საკუთარი № 17. მიცვალებულის გამოსვენება შაბათს, 24 სექტემბერს, ცხრა-ნახევარ საათზე, ანჩისხატის საკრებულო ტაძარში. (1—1)

ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ორშაბათს, 26 სექტემბერს, სეზონის დასაწყებად თავ. ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

ღალატი

ისტ. დრამა-ლეგენდა 5 მოქმ. თავ. სუმბათაშვილისა გრ. ყიფშიძის თარგმანი.

◆ ზეინაბის როლს შეასრულებს ნ. ჩხეიძე ◆

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. გუბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. ჩხეიძე; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი, დ. ჩარკვიანი, ა. ჯაყელი და სხვანი.

წარმოდგენა დაიწყება 8 საათზე

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10-მდე, ბალკონი 50 კ.-დან 1 მ.-მდე, გალერეა 20 კ.-დან 35 კ.-მდე.
მოსწავლეთათვის ადგილები 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად „ლვარი“ დრ. 4 მოქ. „მარუჩა“—„შიო თავადი“—„სულით ობოლნი“ და სხ.
რეჟისორი ვალ. გუნია.

◆ ხელ-ახლად ◆

შეკეთებულს სახლში, რომელიც ეკუთვნის ქვაშვეთის ეკლესიას, გოლოვინის პროსპექტზე, პირველ გიმნაზიის პირდაპირ, ამა 1905 წლის სექტემბრის **უკანასკნელ რიცხვებში**

იხსნება

სამაგალითო მაღაზია შეკერილ ტანისამოსისა

ამ ფირმით

პარიზის მაღაზია

„ძმ. საფარიანცების და ტერ-სააკოვისა“

განსაკუთრებულ განყოფილებით, სადაც **იაფ ფასიანი საქონელი** გაიყიდება.

ყოველთვის დიდძალი საქონელია დამზადებული, **შეკერილი** ტანისამოსი მამაკაცთა (სტატსკისა და ფორმისა), დედაკაცთა და ბავშვთა, აგრეთვე **ყოველ გვარ ფირმის** ტანისამოსი მოსწავლე ვაჟების და ქალებისთვის, მომზადებული საკუთარ სახელოსნოებში ტფილისსა, ბაქოსა და ოდესაში. ტანისამოსი შეკერილი იქნება პარიზის უკანასკნელ მოდაზე. მუდამ ჟამს მოვა ყველაფერი, რასაც-კი სეზონი შეჰქმნის.

შეიძლება დაკვეთა საქონლისა, კაცისა და ქალის ზედა ტანისამოსისა საკუთარ მატერიებიდან, **რუსეთის და ინგლისის ქარხნების ნაწარმოებიდან.** დაკვეთის მომზადება ვადაზე და კარგად გამოცდილ გამომჭრელთა ხელმძღვანელობით. ამ გამომჭრელთ კურსი დამთავრებული აქვთ პარიზის სამკერვალო აკადემიაში.

ფირმა, აცხადებს რა ამას საყოველთაოდ, სთხოვს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას პირადად მობრძანდეს და დარწმუნდეს ყველაფერში.

ფასები საქარხნოა და შეუვაჭრებელი

(10—360—6) პატივისცემით „ძმ. საფარიანცები და ტერ-სააკოვი“

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის“

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მეიდანში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 **მანეთისა.**

[illegible] საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **მისზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იაფ გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი თავის თვისებით,** სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—108)

ენაკის მაზრის, სოფელ მარტყოფის მცხოვრებნი და დ. ნოდალოევის მოვაჭრენი საყოველთაოდ აცხადებენ, რომ 15 ამა წლის სექტემბრიდან ყოველ ხუთშაბათ-პარასკეობით დაბა

ნოღალოევში მუდმივად დაარსდა ბაზრობა,

სადაც გაიყიდება ყოველ-გვარი პირუტყვი და ადგილობრივი ნაწარმოები და ამისთვის სთხოვენ პატივცემულ საზოგადოებას, მყიდველთ და გამყიდველთ, იქონიონ მსვლელობა ბაზრობაზედ. (10—6.—8)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი [illegible] № 15.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი

ექიმი
ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი

იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გაშინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 საათ. და საღამოთი 5—7 საათზე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—2)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილ. 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (30—23)

კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—18)

კბილის ექიმი
ივანე ჰ. ახალშენიშვილი

ნიკოლოზისა (№ 82) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, [illegible] ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-

სამკურნალო ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით ელისავეტინსკაია ქუჩა, 101, ტელ. 1026

მიიღებიან კარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.

ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.

პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვის ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგეობით. სტაციონერი განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—8)

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 საათ. და საღამოობით 5—6 ს. კოჩუბეევის ქუჩ. № 28 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—866—8)

ექიმი
დ. გედევანიშვილი.

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და იღებს ყოველ დღე საღამოს 5-დან 7 საათამდე შინაგან და ნერვიან ავადმყოფებს და ექიმობს ელექტრონით.
ადრესი: კიროჩნი ქუჩა, საზაფხულო კლუბის პირდაპირ, სახლი მარტინოვსკის. ტელეფონი № 1056. (თვ.— 828—23)

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი.

გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სვამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდი. (თვ. 80—2)

მედიცინის დოქტორი
გ. ი. მურადოვი

ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან 11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1, ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 7111. (50—868—6)

კიდევ თვითმმართველობაზედ

თუ რაიმე მნიშვნელობა აქვს ხალხის ინტელიგენციის ცხოვრებაში, თუ მისი გავლენა ლიტონი, ლამაზი სიტყვა არ არის და ნამდვილი ფაქტია, მაშინ უნდა დავთანხმდეთ, რომ დეცენტრალიზაციის პრინციპს საბუთი აქვს იდღესასწაულოს. მოსკოვში შეკრებილმა ერობის და ქალაქების წარმომადგენლებმა თითქმის ერთხმად აღიარეს, რომ რუსეთის ცენტრალისტურმა რეჟიმმა სახელმწიფო მიიყვანა უფსკრულის ნაპირამდეო. უზარმაზარი ორგანიზმი რუსეთის სახელმწიფოსი, შემდგარი რამდენისამე ნაწილისაგან, იშლება, რადგან ცენტრის საზრდო ურგები და მავნე გამოდგა. მხოლოდ ფედერაციული პრინციპი, მხოლოდ თვითმმართველობა ერთი მუჭის ოდენა ერისათვისაც-კი შესძლებს კვლავ უზარმაზარ ორგანიზმის გამოცოცხლებას, იმის ნაწილების მაგრად დაკოწიწებას.

ასეთია ღრმა რწმენა რუსეთის ინტელიგენციისა და თუ იმისი ხმა ნიშნავს რასმეს, უეჭველია, მრავალ ეროვნებას, რუსეთის ტერიტორიაზედ მცხოვრებს, უნდა კარგი დღე დაუდგეს. ჩვენის ეროვნებისთვისაც გაიღიმებს ბედი და უპრიანიც არის. ვინ დასძრახავს და ეტყვის: „შენ მონაწილეობა არ მიგიღია განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამიტომ გამორიცხული იქნება ბედნიერთა სიიდანაო“. ჩვენ ეროვნებას დიდი ღვაწლი მიუძღვის ძველ ბორკილების დამსხვრევაში და სრული უფლება აქვს თვითმმართველობაზედ, რომელიც საშუალებას მისცემს კვლავ აჰყვავდეს და გაიფურჩქნოს.

მაგრამ ჩვენთან ერთად არ ახარებს მოსკოვში შეკრებილთა დადგენილება ჩვენის თვითმმართველობის მოწინააღმდეგეებს, რომელნიც დარწმუნებულნი არიან და დაჟინებითაც ამტკიცებენ, რომ ეროვნული თვითმმართველობა სასარგებლოა მხოლოდ ბურჟუაზიისათვის და მავნეა მუშათა კლასისთვისაო. ახალი პოლიტიკური ფორმა სამშობლო ბურჟუაზიას მისცემს საშუალებას ზურგი გაიმაგროს და ფეხი დააჭიროს მუშას; მუშას-კი დაუბნელებს კლასობრივ თვით-

ლეტარიატის ძლევამოსილს წინ მსვლელობასაო.

მართალია ეს შიში? ვთქვათ, რომ ახალი პოლიტიკური ფორმა შეჰქმნის ისეთ პირობებს, რომ ბურჟუაზიას გაამაგრებს, ძალას მისცემს, მაგრამ განა პროლეტარიატის წინმსვლელობისათვის ეს მავნეა? არა და არა. რასაკვირველია, გაძლიერებული ბურჟუაზია მეტად დასჩაგრავს მუშას, მაგრამ განა ეს დაუშლის პროლეტარიატის გამარჯვებას? როდესაც საფრანგეთის რესპუბლიკის ბურჟუაზიულმა მთავრობამ ბარბაროსულად ჩააქრო მუშათა მოძრაობა, სისხლით შესვრილ ივნისის დღეების შემდეგ მარქსი სწერდა: Fraternité, ძმობა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგ კლასებისა, რომელთაგანაც ერთი მეორეს სჩაგრავს, ეს Fraternité, აღიარებული თებერვალში, დაწერილი დიდის ასოებით პარიზის შუბლზედ, თვითეულ ციხეზედ, თვითეულ ყაზარმაზედ, არის მოქალაქობრივი ომი, მოქალაქობრივი ომი საშინელის სახით, ომი კაპიტალისა შრომასთან“. ამ სიტყვების დამწერი უეჭველია იტყოდა, რომ ძმობა მუშებისა და ბურჟუაზიისა შეუძლებელია, მაგრამ მარქსს მაინც არ შეუცვლია შეხედულება თავის პირვანდელ ტაქტიკაზედ: ძმობა ბურჟუაზიის და მუშათა კლასისა საჭიროა იქ, სადაც ინტერესების ერთობამ დააძმობილა ორი მოსისხლე მტერი. ამიტომ მარქსი განაგრძობს: „ღრმა უფსკრული გაიხსნა ჩვენ თვალწინ, მაგრამ განა იმან გზა უნდა დაუბნიოს დემოკრატებს, გან ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრძოლა სახელმწიფო წესწყობილებისათვის უშინაარსოა, ფუჭი და უმნიშვნელო? მარტო უძლურთ, ხელმოკლეთ შეუძლიანთ დააყენონ ეს კითხვა. შეტაკება, რომელიც გამომდინარეობს ბურჟუაზიულ საზოგადოების პირობებიდან, უნდა გამოცდილ და არა ფანტაზიაში გატარებულ იქმნას. უკეთესი პოლიტიკური წეს-წყობილება ის არის, რომელშიაც სოციალური ანტაგონიზმი პირბადეს არ იხურავს, ძალად არ იბორება, ე. ი. ხელოვნურად, გარეგნობით. საუკეთესო პოლიტიკური წესწყობილება ის არის, რომელშიაც სოციალური ანტაგონიზმი გამოდის თავისუფალ ბრძოლისათვის, რომელშიაც სოციალური ანტაგონიზმი მიდის, ცხადია, დაბოლოვებისაკენ“.*)

თუ მარქსის თვალით შევხედავთ ეროვნულ თვითმმართველობას, მაშინ უნდა დავეთანხმდეთ, რომ ეროვნული თვითმმართველობა არის ის „უკეთესი პოლიტიკური წესწყობილება, რომელშიაც სოციალური ანტაგონიზმი გამოდის თავისუფალ ბრძოლისათვის, რომელშიაც სოციალური ანტაგონიზმი მიდის, ცხადია, დაბოლოვებისაკენ“. მართლაც, ეროვნული თვითმმართველობა, მისი მოწინააღმდეგეების აზრით, გააძლიერებს ბურჟუაზიას და დააჩაგვრინებს მუშას, ესე იგი სოციალური ანტაგონიზმი ძლიერად იჩენს თავს, რაც საჭიროა „დაბოლოებისათვის“.

გვეტყვიან, კარგი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ეროვნული თვითმმართველობა აცალკევებს პროლეტარიატის ძალას და ამით აუძლურებს, მაშინ როდესაც ცენტრალისტური წესწყობილება აერთებს პროლეტარიატს და ამზადებს მრისხანე მტერს ბურჟუაზიულ საზოგადოებისასაო. ესეც შემცდარი აზრია, რადგან შეერთება პროლეტარიატის ძალებისა შეიძლება მოხდეს მაშინაც, როდესაც ეროვნებას თვითმართველობა მიენიჭება. შეუძლებელია ეხლანდელ პირობებში კარჩაკეტილი ცხოვრება, მაღალ კედლების შემოზღუდვა, მაშასადამე, პროლეტარიატის ძალების ფაქტიური განცალკევება.

ზევით ნათქვამიდან ცხადია, რომ ეროვნულ თვითმმართველობის მოწინააღმდეგეთა შიში, ვითომ მაშინ კლასობრივი თვითცნობიერება მუშებისა ბნელდება, მოკლებულია საფუძველს. თუ ეროვნული თვითმმართველობა ისეთი პოლიტიკური ფორმაა, რომელიც სოციალურ ანტაგონიზმს აძლიერებს, მაშინ ეჭვს გარეშეა, რომ მუშათა კლასობრივი თვითცნობიერება კი არ დაბნელდება, პირიქით, განათლდება, სრულებით გამოირკვევა.

დავანებოთ ყველა ამას თავი და ვკითხოთ ეროვნულ თვითმმართველობის მოწინააღმდეგეთ: დღევანდელი პირობები აძლევენ ნიადაგს ეროვნულ თვითმმართველობის წინააღმდეგობისას? მოწინააღმდეგენი ხომ ამტკიცებენ, რომ რეალური პირობები ჰქმნიან იდეოლოგიასაო?—მგონია, რომ არა.

აი რატომ. რომ დავეთანხმოთ კიდეც მოწინააღმდეგეთ ეროვნულ თვითმმართველობის მავნებლობის შესახებ, მაშინაც იმათ ძირითად შეხედულების მიხედვით, უნდა მხარი დავუჭიროთ ამ პოლიტიკურ ფორმის განხორციელებაში. ვთქვათ, ეროვნულ თვითმმართველობას თხოულობს ბურჟუაზია. ეჭვი არ არის, ეს მოთხოვნა აღმოცენებულია რეალურ პირობებიდან; მაშინ უნდა მოვიგონოთ მარქსის სიტყვები: „მანამ ყველა სხვა და სხვა წრეს ბურჟუაზიისას და უმეტესად მისს პროგრესიულ ნაწილს, მრეწველებს, არ მოუპოვებიათ პოლიტიკური ძალა და არ გადაუქმნიათ სახელმწიფო თანახმად თავის მოთხოვნილებათა, მუშათა კლასის მოძრაობა თავის დღეში არ იქნება დამოუკიდებელი და არ შეუძლია გახდეს წმიდა პროლეტარული“. **ჩ.**

---

*) „კარლ მარქსი 1848 წელს“,—„Вопросы

ერობების და ქალაქების მოღვაწეთა წარმომადგენლების კრება მოსკოვში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან *)

საღამოს კრებაზედ განიხილეს მოწოდება ერობების და ქალაქების მოღვაწეებისა იმის შესახებ, თუ რა დაევალება მომავალ სათათბიროს. აი მოკლედ შინაარსი ამ მოწოდებისა: აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ის, რომ ამომრჩევლებმა დაასახელონ სახელმწიფო სათათბიროსთვის ისეთი კანდიდატები, რომელთაც აზრათ აქვთ სახელმწიფო სათათბიროს გაუმჯობესება. სათათბიროს წევრებმა უპირველეს ყოვლისა უნდა მოითხოვონ შეუხებლობა და მკვიდრი გარანტია პიროვნების, უფლებისა, სიტყვის და ბეჭდვის, კავშირებისა, კრების თავისუფლება და აგრეთვე უნდა ეცადონ გაიყვანონ საყოველთაო არჩევნების უფლება. ამის შესახებ უმრავლესობა კრებისა მომხრე იყო საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორ და ფარულ არჩევნებისა; უმცირესობა საჭიროდ სცნობდა საყოველთაო, თანასწორ და ფარულ არჩევნებს, ვინაიდან ჯერჯერობით შეიძლება ორ ხარისხოვან არჩევნებზედ დავთანხმდეთო. სათათბიროს წევრები უნდა ეცადნენ მოიპოვონ უფლება გადამწყვეტ ხმისა როდესაც განხილული იქნება სახალხო წარმომადგენლობის კანონპროექტები და აგრეთვე სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვა. მათ უნდა მოითხოვონ სახალხო წარმომადგენელთათვის უფლება სრულის კონტროლისა კანონიერ და სწორ მართვა-გამგეობაში. უსაჭიროეს საზრად აღიარებულია დიდი ზრუნვა მიწის სივიწროვის ასაცილებლად მუშების უფლების და მოთხოვნილებების გასაუმჯობესებლად; კრება საჭიროდ სთვლის აგრეთვე რაც შეიძლება ჩქარა გლეხთა გათანასწორებას სხვა მოქალაქეებთან, საერობო უფროსების ინსტიტუტის გაუქმებას, სასამართლოს რიგიანად მოწყობას და ყოველ ადგილისთვის თვით-მმართველობის მინიჭებას და სრულ უფლებების მიცემას; კრება აღიარებს, რაც შეიძლება ფართო ნიადაგი მიეცეს სწავლა-განათლების გავრცელებას. აი მოწოდების უმთავრესი მუხლები. რადგან მოწოდებაში არ იყო აღნიშნული ეკონომიური და აგრარული საკითხები, ამიტომ პროგრამა ბიუროს გადაეცა გადასასწორებლად და შესავსებად.

ამით გათავდა კრება 1[illegible] სექტემბერს.

ილ. ხირსელი.

(შემდეგი იქნება)

ახალი ამბავი

◆ „რუს“-სა და სტახტო ქალაქის სხვა გაზეთებში დაბეჭდილია: „შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუდგა ახალ პროექტის შემუშავებას. პროექტი შეეხება **კავკასიაში ყაზახ რუსების დასახლებას.** განზრახულია ყაზახები ადგილობრივ მცხოვრებლებში აურიონ, ესე იგი ყველა სოფელთან ყაზახთა სოფელიც იქნება. ყაზახებს მიეცემათ სახაზინო მიწები საგლეხო ბანკის შემწეობით“.

◆ როგორც თავის დროზე ვწერდით, ნამესტნიკის განკარგულებით შესდგა განსაკუთრებული კომისიები იმ ზარალის გამოსაკვლევად, რომელიც **გლეხთა მოძრაობას მოჰყვა.** ერთი კომისია ამ ჟამად გორის მაზრაში მუშაობს. ხოლო მეორე ახლოხანს აპირებს კახეთისაკენ წასვლას. როგორც გავიგეთ, კახეთის ზოგიერთ მემამულეებს მოლაპარაკება აქვთ, რომ გლეხებთან მორიგება თვითვე უკომისიოდ ითაონ და მშვიდობიანად გაათაონ საქმე.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ საქართველოს ეგზარხოსის განკარგუ-

ლებით რამდენიმე კომისია დაინიშნა სხვა და სხვა საკითხების განსახილველად, მაგალითად, სასინოდო კანტორისა და სკოლების რეორგანიზაციისა. როგორც ხმა დადის, ამ კომისიის წევრებს, **მღვდლებს, უარი უთქვამთ წევრობაზე და განუცხადებიათ**, ამ თანამდებობას ვიკისრებთ მაშინ, როდესაც სამღვდელოების კრება დაგვავალებსო.

◆ ულუხანლუ-ჯულფის გზაზე ნახიჩევანს მიმავალ მატარებელში ადგილობრივ ჟანდარმებს **ხომხებისთვის უნახავთ** 7 ბერდანა, 28 სხვა სისტემის თოფი, 15 რევოლვერი და 82 პატრონა.

◆ 20 სექტემბერს ქუთაისში დაიწყო **იმერეთის სამღვდელოების ხაგანგებო კრება.** დაესწრო ასამდე მოძღვარი. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. ივ. ფანცხავა და მდივნად მ. მესხი. ოქმი ამ არჩევნების შესახებ, როგორც გვატყობინებენ, გაატანეს თავმჯდომარეს დასამტკიცებლად ეპისკოპოსთან და ამასთან სთხოვეს თვითონაც დასწრებოდა კრებას. ეპისკოპოსმა არჩევნები დაამტკიცა, მაგრამ მოსვლაზე კი უარი სთქვა უქეიფობისა გამო. ამ გარემოებამ გამოიწვია ხანგრძლივი კამათი. იდავეს ორი-სამი საათი. ზოგი ამბობდა, რა საჭიროა ეპისკოპოსის მოსვლაო, ზოგი ამტკიცებდა, არ იქნება, მოვუცადოთო. კრება მეორე დღისთვის გადაიდო. ჩვენ როგორც ჩვენ ივის ჯობდეს, ისე მოვიქცეთო. დაეთანხმენ ამ აზრს და კრება მეორე დღისათვის გადასდეს. სამღვდელოებას სჯა-ბაასი ექნება სასულიერო სკოლის შესახებ და სხვა.

◆ ამ ცოტა ხანში სტამბოლში უნდა მოხდეს **ხომხის ეპისკოპოსთა კრება.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გადაწყვეტილია კრებამ სთხოვოს კათალიკოსს, ურჩიოს სომეხთა საიდუმლო კომიტეტებს, ხელი აიღონ სარევოლიუციო საქმეებსა და მკვლელობებზე, რასაც დიდი ვნება მოაქვს სომხებისათვისო.

◆ როგორც მკითხველებს ეხსომებათ, 12 აგვისტოს თიანეთის მაზრის სახორხთის სოფლის საზოგადოებამ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია **სამაზრო ადმინისტრაციას** და გაგზავნილ ჯარს. ნამესტნიკის განკარგულებით, გაჰგზავნეს მეხუთე სოტნა პოლტავის პოლკისა, რომ ხსენებულ საზოგადოებაში ყაჩაღები და ქურდბაცაცები დაეჭირა, რადგან ესენი დიდ შეწუხებას აყენებდნენ მშვიდობიან მცხოვრებთ. ჯარის მისვლისას ხალხი მთებში დამალულა და იქიდან აუტეხნია სროლა, მაგრამ ჯარს გაუფანტია და ბევრი დაუპატიმრებია. სხვათა შორის, ამ დაპატიმრებულებში აღმოჩნდა სახორხთის საზოგადოების მამასახლისი და ადგილობრივი სოფლის მოსამართლე, რომელთაც პირველად დაეწყოთ წინააღმდეგობის გაწევა და თოფების სროლა. მაზრის უფროს უთხოვნია საგუბერნიო მთავრობისთვის მათი თანამდებობიდან გადაყენება.

◆ **გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის საქმის** განხილვა გადაიდო 26 სექტემბრისათვის.

◆ 19 სექტემბერს ბაქოში სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე გლურჯიძისა, რომელსაც ბაქოს პოლიციის **უბნის ზედამხედველის თავ. მიქელაძის მოკვლა ჰბრალდებოდა.** სასამართლოში გლურჯიძემ განაცხადა, რომ ქუთაისის მაზრის მცხოვრები ვარ, გიორგი პეტრეს ძე ჯორჯია; გვარი გამოვიცვალე, რადგან ომის დაწყებისას მეშინოდა სალდათად არ წავეყვანეთო. სასამართლომ გლურჯიძეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ სარჩაპეტის **მაჰმადიანებს იჯარით აღებული ჰქონიათ** საუფლისწულო მამულის კარაკალის ადგილები. რადგან იჯარის ვადა ამ წლის დამლევს თავდება, საუფლისწულო მამულების გამგეს იჯარის ახალი პირობები შეუდგენია და ფიქრობდა ადგილები მომავალ წლიდან, როდესაც იჯარის ვადა თავდება, ამ პირობებით ჩაებარებინა გლეხებისთვის 3268 მანეთად. გლეხები ასეთ პირობებზე, როგორც თვითონ გამგე აცხადებს, თანახმა გამხდარან და გამგეს პირობები დასამტკიცებლად თავის უფროსისთვის გაუგზავნია იქიდან დაბრუნებული დამტკიცებული პირობა გამგეს გლეხებისთვის გაუგზავნია ხელის მოსაწერად და ფორმალურ წესების შესასრულებლად, მაგრამ გლეხებს უარი განუცხადებიათ პირობების მიღებაზე და ხელიც არ მოუწერიათ. გამგეს სხვა და სხვა ზომებისთვის მიუმართავს, მაგრამ გლეხებს მაინც თავისი არ დაუშლიათ. ეხლა საუფლისწულო მამულების ინსპექტორს კავკასიაში ეს ამბავი უმაღლეს მთავრობისთვის უცნობებია და უთხოვნია ზომების მიღება.

◆ **ქალაქ სიღნაღის** ეგრედ წოდებული ძველი ნაწილი გაშენებული ყოფილა ასოცდა ათ დესეტინა მიწაზე. ამ ადგილზე ათას სხვა და სხვა კაცის მამულია თურმე. შუაგული, ოცდა ხუთი დესეტინა, ეკუთვნის უცხო სახელმწიფოს მკვიდრს, სახელდობრ ათონის მონასტერს, რომელიც ადგილს იჯარით აძლევს. სულ ამ ოცდა-ხუთ დესეტინაზე დაბინავებულია სამას იაცი მოსახლე. მონასტრის რწმუნებული მოიჯარადრეებს უზომო საიჯარო გადასახადს ართმევს თურმე. ამავე ხდებათ, როგორც ყველას, სახელმწიფო და საქალაქო გადასახადები. მთელი ადგილი მონასტრისა შეფასებული ყოფილა ოცდა-შვიდი ათას ექვსას მანეთად. იქ დაბინავებულ გლეხებს კი ყოველ წლობით მონასტერი აძლევინებს ორი ათას-შვიდას სამოც მანეთს, ესე იგი თერთმეტ თუმანს და ორ აბაზს დესეტინაში. ეხლა აღნიშნულ გლეხებს აუწერიათ თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა და უთხოვნიათ ნამესტნიკისათვის, ან ხაზინამ გამოისყიდოს მონასტრის ადგილი, ან და ქალაქ სიღნაღმა და შემდეგ მათ გადაეცეთ სხვა და სხვა პირობით; თუ ეს არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში თვითონ ჩვენ მოგვეცით შეძლება ამ ადგილის საკუთრებად გამოსყიდვისაო, სწერენ გლეხები. გლეხებს აქნობამდისაც სდომებიათ ადგილის გამოსყიდვა, მაგრამ მონასტრის რწმუნებული დიდი წინააღმდეგი ყოფილა და ამრიგად გლეხები თითქმის წლის განმავლობაში მორჩილად იხდიდნენ თურმე უზომო გადასახადებს.

◆ ამ ბოლო დროს **ქალებმაც დაიწყეს სტამბებში მუშაობა.** ბ-ნ ბ. ესაძის მიერ შეძენილ სტამბაში „გუტენბერგში" ამ ჟამად 10 ქალი მუშაობს. ორის მეტი, ყველანი ქართველები არიან.

◆ **მალაკანთა საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, ნება მიეცეთ გამოსცენ ჟურნალი „დუხოვნი ხრისტიანინ"-ი.

◆ ტფილისში ეპისკოპოს ანანიას მეთაურობით **ჩამოვიდა შუშელ სომეხთა დეპუტაცია.** გუშინ, 22 სექტემბერს, დეპუტაცია ნამესტნიკთან იყო და აცნობა, რომ, შერიგების მიუხედავად, ორივე მხარე არღვევს მშვიდობიანობასო.

◆ **ოფიციალური დეპეშა განჯის გუბერნატორის** თაყაიშვილისა: „გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე"-ს მე-198 ნომერში მოთავსებული ცნობა საქმის ვითარების შესახებ შუშასა და საერთოდ განჯის გუბერნიაში სიმართლეს არ შეესაბამება. ქალაქ შუშაში ფქვილი მუდამ იყო. გირვანქა პურის ფასი ერთ შაურზე ზევით არ ასულა. ქალაქში ორ უკანასკნელ კვირის განმავლობაში სანოვაგე ბევრი შემოჰქონდათ. ევლახ-შუშის გზა არაფერს სახიფათოს არ წარმოადგენს; მიმოსვლა მგზავრებისა და ბარგის გადატან-გადმოტანა შეუჩერებლივ სწარმოებს, თუმცა ზოგიერთი მგზავრი ჯერაც ვერ განთავისუფლებულა იმ მძიმე შთაბეჭდილებისაგან, რომელიც დასტოვა აქაურმა ამბებმა. ცნობა, ვითომც ექვსი სოფლის თათრებს განეზრახოთ სომხის სოფლების აკლება—გამოგონილი სიცრუეა ისევე, როგორც ცნობა ნუხის მღელვარების შესახებ. რედაქციებს ვურჩევ, ვიდრე ასეთს ამბებს გამოაქვეყნებდნენ, შეამოწმონ ხოლმე თავიანთ კორესპონდენტების საშუალებით ამ ამბების სიმართლე. ხშირად ასეთი ხმები უსაფუძვლო შიშს იწვევენ. მოგყავს ნიმუშად სოფელ ვანქის მცხოვრებთა ვექილების, ავაქოვის და ნახაპეტოვისაგან, ჩემდამი გამოგზავნილი დეპეშა. „ჩვენი სოფელი ალყა შემორტყმულია. გვეშინიან და ხვნა-თესვას ვერ შევდგომივართ. თათრები აბრკოლებენ მალაკნების მახლობელ სოფლებიდან სანოვაგის შემოტანას. გზები შეკრულია. გთხოვთ, ბრძანება მოახდინოთ, რათა უზრუნველყოფილ ვიყოთ ქონებრივად და პირადად, რადგან თათრები ისევ განაგრძობენ მკვლელობას და ძარცვა-გლეჯას". იმავ 19-ს რიცხვებში, როდესაც ეს დეპეშა მივიღე, მე დავავალე ყარაბულახში მყოფ რაზმის უფროსს, დაუყოვნებლივ გამოეკვლია საქმის მდგომარეობა, აღედგინა წესიერება და ყოველივე ჩემთვის ეცნობებინა. 20 სექტემბერს რაზმის უფროსმა დეპეშით მაცნობა: „გამოძიება მოვახდინე, ედილლში ყველაფერი წესიერად არის. შიში უსაფუძვლო გამოდგა: ალყა არ არის, გზები თავისუფალია. დავარწმუნე, რომ შეუძლიანთ მუშაობას შეუდგნენ. ხვალ მუშაობას დაიწყებენ".

◆ თუ გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო, **ხაგანგებო კრება** გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებისა მოხდება 25 ამ ენკენისთვეს თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიის სადგომში, დილის 10 საათზე. განსახილველი საგნებია: 1. არჩევანი გამგე კომიტეტის თავმჯდომარის, იმის ამხანაგისა და წევრებისა; 2. არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა; ა) სათავად-აზნაურო გიმნაზიისთვის და ბ) გიმნაზიის ახალი შენობისათვის ვერაზე, და 3. სათავად-აზნაურო გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხი.

◆ **ქართულ წარმოდგენების სეზონი** დაიწყება ორშაბათს, 26 სექტემბერს. წარმოდგენები განზრახულია სახაზინო თეატრში. დრამატიულ საზოგადოებას უკვე დაეთმო ერთი დღე, სახელდობრ ორშაბათი. 26 სექტემბერს წარმოადგენენ თავ. სუმბათაშვილის ცნობილ დრამას „ღალატს". დრამატიული დასი ამზადებს ახალს პიესებს: „სულით ობოლს" ჰაუპტმანისას, „ნიაღვარს" კოსოროტოვისას, ორიგინალურს პიესას „შიო თაველს" შ. დედაბრიშვილისას, „ქოხში" გომართელისას, „მარუჩას" ბლოისას, ქ. აზიანის ახალს დრამატიულ პიესებს და სხვას. 1 იანვრიდან დასი წარმოდგენებს გამართავს აგრეთვე ზუბალაშვილის სახალხო თეატრში.

◆ როგორც ვიცით, **სომხებს ნება მიეცათ განაახლონ ხკოლები** 1874 წლის წესდებით. რადგან სკოლები საეკლესიო მამულების შემოსავლით ინახება, ხოლო ამ მამულების გადაცემა გვიანდება, სომეხთა სასულიერო მთავრობას აზრადა აქვს შუამდგომლობა აღძრას მიეცეს სკოლებისთვის ავანსად 100,000 მან.

◆ ქალაქში ხმა დადის, რომ გაზეთი **„ნოვ. ობ." ქრ. ვერმიშევის ხელში გადადისო.**

◆ მცირე წლოვან დამნაშავეთა **ახალშენის დირექტორი მაღალაშვილი ეს რამდენიმე დღეა ალარსადა სჩანს** თურმე. ქაღალდები და ანგარიშები მაღალაშვილს რიგზე დაუტოვებია.

◆ ტფილისის **ქალაქის ხასტატისტიკო ბიუროს** გამგედ დანიშნული თავ. პ. მიხ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი, გამგეობის გადაწყვეტილებით, ორის თვით გაიგზავნა მოსკოვსა და პეტერბურგში იქაურ ბიუროების შესასწავლად.

◆ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი **ალ. ცაგარელი.**

◆ ქალაქის ქუჩების საუკეთესო სისტემით მომკირწვლელ კომისიას 1903 წლის 1 ივლისიდან 1905 წლის 1 სექტემბრამდე **დაუხარჯავს რიყის ქვით მოკირწვლაზე** 226,287 მან., საუკეთესო სისტემით მოკირწვლაზე—115,031 მან., მოსამსახურეთა შენახვაზე—18,457 მან. და სხვა ხარჯიც 7002 მან., სულ დახარჯულა 366,777 მან. 64 კაპ.

◆ თებზაძე და ნიკოლაიშვილი, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, **ტფილისის სამხედრო საოლქო სასამართლომ** დამნაშავეთ იცნო **კონდიტერის ალიხანოვის მკვლელობაში** და გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა, მაგრამ ამასთან თვითონ სასამართლომ აღძრა შუამდგომლობა ნამესტნიკის წინაშე ამ სასჯელის კატორგით შეცვლის შესახებ. სასამართლოს შუამდგომლობის თანახმად, ნამესტნიკმა შეუცვალა სასჯელი: თებზაძეს 20 წლის, ხოლო ნიკოლაიშვილს 15 წლის კატორგით.

◆ მანგლისის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ ნამესტნიკის წინაშე **მიწათმფლობელობის საქმის გაუმჯობესების** შესახებ.

◆ როგორც გაზეთ „მშაკ"-ს **ამერიკიდან სწერენ**, იქაურ სომხებს თავიანთ ეპისკოპოსის მეთაურობით ადრესი მიურთმევიათ ვიტტესათვის, მიულოცავთ იაპონიასთან ზავის ჩამოგდება და უთხოვნიათ ეცადოს კავკასიის დამშვიდებას და აგრეთვე თათრების დაწყნარებას.

◆ კავ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, გადაიდოს საჭირო ფული ტფილისის საბაღოსნო სკოლაში მეღვინეობის განყოფილების გასახსნელად.

◆ **ტფილისში ჩამოვიდნენ ეპისკოპოსები** იმერეთისა ლეონიდე და კავკავისა — გერმოგენი.

◆ 29 სექტემბრის ნაცვლად **რუსულ დრამის პირველი წარმოდგენა** საარტისტო თეატრში გაიმართება 1 ოქტომბერს.

◆ ახალციხის მაზრის სოფელ გარკუდის გლეხებს ძველადვე იჯარით ჰქონიათ აღებული ხუთი ნაჭერი სახნავ-სათესი სახაზინო ადგილები. ამ ორი წლის წინად ეს ადგილი კერძო პირის ხელში გადასულა და თურმე ეს პირი უზომო გადასახადს ახდევინებს. ეხლა-ხან გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ აღნიშნული ადგილი ჩამოერთვას კერძო მემამულეებს და წინანდელ პირობებით მათ გადაეცეთ.

◆ ბორჩალოს მაზრის სარიდის საზოგადოების გლეხი კერბალაი ჭუხეინ-ალაზ-ოღლი ამ ოცი წლის წინად სხვა და სხვა ბოროტ საქმეებისათვის გადასახლებულა ადმინისტრაციული წესით სახალინზე; ეხლა-ხან აღნიშნულ სოფლის საზოგადოებას განაჩენი დაუდგენია და უთხოვნია უმაღლეს მთავრობისათვის, კერბალაის სამშობლოში დაბრუნება.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ ემირ სანის ხაბატონო გლეხებს უთხოვნიათ ადგილობრივ ადმინისტრაციისათვის, იმ სანადელო ადგილების მაგიერ, რომელიც ეხლა უჭირავთ, მიეცეთ სოფლის მახლობლად მდებარე მუხრანსკის სამამულო მიწები. ამ თხოვნას იმითი ასაბუთებენ, რომ ეხლანდელ ადგილებს ახლო მდინარე [illegible] ნაპის და ყოველ წლობით დიდ ზარალს აყენებს გლეხებს.

◆ ტფილისის მაზრის სოფელ წყნეთში რამდენსამე კომლ გლეხს ჰქონია ნადელებად სახნავ-სათესი, საბალახო და საბადე ადგილები. ამ რამდენისამე ხნის წინად ეს ადგილები კერძო კაცის ხელში გადასულა და გლეხები ცარიელნი დარჩენილან. აღნიშნულ გლეხებს [illegible] განუცხადებიათ უმაღლეს მთავრობისათვის და უთხოვნიათ, უკანვე დაუბრუნონ ადგილები.

◆ რედაქციამ მიიღო შემდეგი სომხური წიგნები: 1. „სპირიტიზმი", პიესა სამ მოქმედებად ვიქტორ სარდუსი, თარგმნილი ლეონ მელიქ-ადამიანის მიერ, ფასი 50 კაპ. 2. „მორგვლი მოგება", სემენოვისა, თარგ. მელიქ-ადამიანისაგან. „საყმაწვილო ბიბლიოთეკა", ფასი არ არის აღნიშნული; 3. „პატარა ცოდვილი და მაცქერალი კურდღელი", კოტა მერდიკისა, თარგმანი დ. მელიქ-ადამიანისა. „საყმაწვილო ბიბლიოთეკა". ფასი არ არის აღნიშნული; 4. „კურდღელი ხვნას ჯავრის ამოყრა" ანუ „თითონ უშველე შენს თავსა", ფ. მასსონისა, გადმოკეთებული დ. მელიქ-ადამიანის მიერ. „საყმაწვილო ბიბლიოთეკა". ფასი არ არის აღნიშნული.

◆ რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი"-ს ივლისისა და აგვისტოს ნომრები (ერთ წიგნად). შინაარსი:—1. „გუ[illegible]", ლექსი შიო მღვიმელისა.—2. „კოტე და ბურთი", იგავი ალ. მირიანაშვილისა.—3. „ნიგორა ძროხა და რუხი კატუნა", რუსულიდან ტასოსი.—4. „სამი ძმა-კაცი, არაკი", ალ. მირიანაშვილისა.—6. „პატარა გურული", დედა აღნიაშვილის რვეულიდან.—7. „ერთი ულელო ხარი", ზღაპარი მ. კინწურაშვილისა.—8. „ზანტი ჭკვიანი", ფრანგულიდან ალ. სარაჯიშვილისა და სხვა.

◆ გუბერნატორის განკარგულებით, ზაქათალის მე-5 ნაწილის ბოქაული გადაყვანილ იქმნა მე-6 ნაწილში გაცვლის ნაცვლად, რომელიც სამსახურს თავს ანებებს; მე-5 ნაწილის ბოქაულად გადმოყვანილი იქნება 1 ნაწილის ბოქაული ფირუმოვი, ხოლო პირველ ნაწილში გადაყვანილ იქნება ბაზერიონი.

◆ ტფ. ქალაქის საბჭოს მდივანმა ს. თ. ჭრელაშვილმა მოხსენება წარუდგინა გამგეობას ხმოსანთა საარჩევნო წიგნების შესწორებისა და საარჩევნო სიების შედგენის შესახებ. ბ-ნი ჭრელაშვილი სწერს, რადგან საბჭოს სხდომები შესწყდა, საბჭოს კანცელარიის მოხელენი უსაქმურად არიან და შეიძლება მათი ძალა წიგნების შედგენას მოახმარონო. გამგეობამ შეიწყნარა ეს წინადადება.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 18 ამ თვეს დაჭერილი ოზურგეთის მცხოვრები ნიკოლაიშვილი აჩვენებს აზოვ-დონის ბანკის მეარტელეს, დარახჯს და იმ ქალს, რომელიც შოტის სახლში სცხოვრობს. მეარტელემ და ქალმა იცნეს ნიკოლაიშვილი. ისინი ამტკიცებენ, რომ ფულის სკივრი მაგას მოჰქონდაო. დაიჭირეს თუ

ფელეტონი

საერთაშორისო საუბრიდან

(შემდეგი *)

III

— სიამოვნებით მოვისმინე დიდ სახელმწიფოებისა და ერების წარმომადგენელთა აზრი, —სთქვა სპავლუდმა ბელგიელმა, რომელიც მანამდე ჩუმად იჯდა და გულმოდგინედ ყურს უგდებდა სხვების ლაპარაკს:—და აი რა დასკვნა გამოვიტანე: უეჭველია ის, რაც შეეხება პატარა სახელმწიფოთა და ერთა უფლებებს, ცხოვრებას აზრს და ისტორიულ მნიშვნელობას და რაც დიდი ერის მოქალაქეთა გასაგებად თითქოს ახსნას, საბუთებით დამტკიცებას და თეორეთიულ მსჯელობას, უეჭველია ეს ჩვენთვის, პატარა, უზნარ ერების მოქალაქეთათვის, დღესავით ნათელია და აქვნიდანვე შესისხლხორცებული. ტყუბნებიან—ევოლიუციას ხალხნი გაერთიანებისკენ მიჰყავსო; ევოლიუციამ უნდა შექმნას საერთო ფედერაცია ჯერ ევროპიულ ხალხებისა და მერე მთელ დედამიწისაო. საუცხოვო, დიდებული იდეაა. ამ იდეამ გაიტაცა ჯერ ისევ ჰენრიხ მეოთხე და იმისი განთქმული მინისტრი სიულლი. მერე ეს აზრი ევროპიულ საფედერაციო შტატების შესახებ 1819 წელს ხალხის მიმართ შედგენილ მანიფესტში განმარტეს სენ სიმონმა და ოგიუსტენ ტიერიმ. ორი კვირის წინად ქალაქ ბრიუსელში მოხდა საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესის კრება, რომელზედაც მთელ განათლებულ ქვეყნიერების დელეგატებმა ხელ-ახლა გაიხსენეს სენ-სიმონის იდეა. კიდევ ვიმეორებ, რომ დიდებული იდეაა და კეთილშობილური საქმეა ერებისა და სახელმწიფოების ერთ ფედერაციად გარდაქმნა... გაქრება ის ხარჯი, რომელიც დღეს მილიარდობით უნდება შეიარაღებას, და საერთაშორისო ჯაშუშობას; უმაწვილ კაცობა ასცდება უაზრობს უაზრო და ტანის გამღაფუჭებელ ცხოვრებას; მინდორ-ველს და სახელოსნოებს დაუბრუნდება სულით ძლიერი და ხორცით მაგარი ახალგაზრდობა, რომელსაც დღეს სული ეხუთება და გული უწუხს ყაზარმის დახშულ ჰაერში; განხორციელდება კაცობრიობის მეგობართა ოცნება ხალხთა ძმობისა და საერთო, საყოველთაო თავისუფლების შესახებ. მაგრამ როგორ,—გეკითხებოდი დელეგატებს ბრიუსელში და გეკითხებით ეხლა თქვენც:—როგორ უნდა შევუდგეთ ამ დიად საქმეს? ნუ თუ ამისთვის პატარა ავტონომიური და ფედერატიული სახელმწიფოები და ერები დიდ სახელმწიფოების ცენტრალიზმს უნდა შეეწირონ მსხვერპლად? ეს ხომ უდიდესი უსამართლობა იქმნებოდა! აბა ყური მიუგდეთ, რას ეუბნებოდა და უმღერება პრუსსია პატარა ჰოლშტინიას და პოლონელთა პროვინციებს. სდევნიან ყველაფერს, რასაც-კი ეროვნული ბეჭედი აზის—ზნე-ჩვეულებას, გადმოცემას, ენას; სდევნიან უდიერად და თან გასამართლებლად გაიძახიან, ამას „სახელმწიფოს ინტერესები" თხოულობსო. ამ „ინტერესით", როგორც ფარხმალით, შეიარაღებულნი ძალდატანებით [illegible] პოლონელთა და შლეზვიგის დანიელთა ადგილებს და მცხოვრებთ გერმანელებით დასახლებულ პროვინციებში ერეკებიან. ამ ბარბაროსობას გერმანიზაციის და საიმპერიო ერთობის სახელით ნათლავენ. ნამდვილად-კი იგი საზიზღარი ძალმომრეობაა, იმ წყევა-კრულვით გასტუმრებულ უფლების აღდგენაა, რომელსაც საზღვარი არა ჰქონდა ბარბაროსთა გადასახლების დროს. მაგრამ ბარბაროსები თავიანთ საზიზღარ საქმეს აშკარად, სჯაროდ სჩადიოდნენ, თვალთმაქცობას არ მიმართავდნენ და არ გაიძახოდნენ, სახელმწიფოს და ცივილიზაციის ინტერესებისთვის ჩავდივართ ამასაო, როგორც ეხლა იქცევიან ბერლინელი ტევტონები. ამ ტევტონებს რომ ყური გათხოვოთ, ცივილიზაციის ინტერესები თხოულობს, ჰოლანდია და ჩემი სამშობლოს ბელგიის ნაწილი გერმანიას შეუერთდეს... რა უნდა მოგვცენ, რა უნდა გვასწავლონ გერმანელებმა? ხელოვნება? ნუ თუ იმათმა მხატვრებმა, რომელთაც მიბაძვის მეტი არა იციან რა, უნდა გვასწავლონ ჩვენ, ბელგიას, რომელმაც კაცობრიობას უძღვნა რემბრანდი, ვანდეიკი, რუბენსი, რიუისდალი, ჰანს გელიც და ახლახან გარდაცვლილი მენიე? ან იქნება გერმანელებმა სამრეწველო მეტალურგია, ნაოსნობა უნდა გვასწავლონ? ისინი ჯერ ისევ გუშინ მონსის და სხვა ადგილების მთა-მადნებში სწავლობდნენ სამთო საქმეს! დღესაც-კი გერმანელები ჰოლანდიელებსა ჰბაძავენ მეთევზეობის და საზღვაო საქმეში...

— მწუხარებით უნდა აღვნიშნო,—სთქვა მოხუცმა გერმანელმა,—რომ მართალი ბრძანდებით. ჩვენის ცენტრალისტების პრეტენზია, მეტი რომ არა ვსთქვა, ახირებულია!

— იქნებ ფიქრობთ, რომ გერმანია თავისუფალ დაწესებულებებს შემოიტანს ჩვენს ქვეყანაში. სცდებით, ბატონო! გაიხსენეთ, რომ გერმანია დასავლეთ ევროპაში ყველაზე უფრო უფლებას მოკლებული სახელმწიფოა. კარგად იცით, გერმანელები იმდენად შეეჩვივნენ უუფლებობას... ბოდიშს ვიხდი უკმეხობისთვის,—მიჰმართა მოსაუბრემ მოხუცს და სოციალ-დემოკრატს,—მე სხვაში უმრავლესობა მყავს. მართალიც და: დიდ სახელმწიფოში დიდ ერს არა აქვს თავისუფლება კრებისა, ის თავისუფლება, რომელიც ჩვენ, ჰოლანდიელებმა, შვეიცარიელებმა და სხვა პატარა ერებმა სარევოლიუციო ბრძოლით მოვიპოვეთ.

— უკაცრავად... ნება მიბოძეთ, განვმარტო: საჯარო კრებების უფლება ჩვენში კანონით არის აღიარებული და ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ფართოდ ვსარგებლობთ ამ უფლებით.

— რა თქმა უნდა! მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ საჭიროა კრების გასამართავად ნებართვის აღება, ხოლო თვით კრებაზე—პოლიციის აფიცრის დასწრება.

— დიახ, პოლიციის კამისარი ხსნის და ჰხურავს კრებას. მაგრამ იგი ხელმძღვანელობს ადმინისტრატიულის თვით-ნებობით-კი არა, კანონით, კონსტიტუციით,—ამაყად განმარტა სოციალ-დემოკრატმა.—ჩვენ სრულიად თავისუფლად შეგვიძლიან ჩვენი აზრის გამოთქმა. აი, მაგალითად: ჩემმა განსვენებულმა მეგობარმა და მასწავლებელმა ლიბკნეხტმა თავის შესანიშნავ სიტყვაში ბისმარკს, რომელსაც ამ უკანასკნელმა სთქვა—„ჩვენ, გერმანელებს გვეშინიან მხოლოდ ღმერთისა და სხვა არავისიო", პირში უთხრა—„ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს-კი არაფრისა და არავისა არ გვეშინიანო". ასე მამაცად და ასე ლამაზად გასცა პასუხი ჩვენმა მასწავლებელმა.

— უკაცრავად, ეს სიტყვები ლიბკნეხტმა წარმოსთქვა პოლიციის თანადასწრებით, რომელიც ლიბკნეხტთან ერთად ესტრადაზე იჯდა, არა? ერთი ამიხსენით, პოლიციელი ლიბკნეხტის ამხანაგი და მეგობარი იყო და იმიტომ მიიწვია კრებაზე? თუ მიიწვია იმიტომ, რომ ეშინოდა—უპოლიციელოდ კრების ნებას არ მომცემენო? არ ვიცი, თქვენში რას ეძახიან ამას და ჩვენშა-კი ერთი სახელი აქვს—უუფლებობა, პოლიციის თვით-ნებობა. აშკარაა, ლიბკნეხტმა არ იცოდა ერთი რამ: თავისუფალნი არიან მხოლოდ ის ერები, რომელთა მოქალაქეებსაც შეუძლიანთ შეიკრიბონ სხვის უკითხავად სადაც უნდათ და როდესაც უნდათ, და თუ ეს მოქალაქენი იკრიბებიან დაკეტილ სადგომში, დარბაზის კარებს ჰკეტავენ მხოლოდ პოლიციისთვის... პოლიციელის თანადასწრება კრებაზე, იმისი წამოსკუპება ესტრადაზე, როგორც ეს თქვენშია, ჩვენში გამოიწვევდა საერთო აღშფოთებას, რასაც შედეგად უთუოდ პოლიციელის განდევნა მოჰყვებოდა. სულ ერთია, რითაც უნდა იხელმძღვანელონ—კანონით, კონსტიტუციით თუ სახარებით, მას ადგილი არა აქვს თავისუფალ კრებაზე... და თუ თქვენი პარტია ფიქრობს, რომ კრება პოლიციის ნებართვით და იმის თანადასწრებით თავისუფალია, მაშინ, აშკარაა, გერმანიაში მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონიათ მოქალაქობრივ თავისუფლებაზე. მაგრამ მაპატიეთ, რომ უნებურად გადავუ-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 2914.

არა ნიკოლაიშვილი, შეამოწმებინეს ექიმებს; ამათის აზრით, ბეჭებსა და მხრებზე რომ ზოლები აქვს, ფულის სკივრი რომ მხარზე ედო, იმისი ნიშანიაო. ნიკოლაიშვილთან ერთად დაიჭირეს ის მეეტლეც, რომლითაც ავაზაკებმა სკივრი წაიღეს ბალახვანის ქუჩაზე, და ერთი დარაჯი, რომელსაც ამ გაძარცვაში მონაწილეობას სწამებენ.

◆ 24 ამ თვეს გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდება აქაურ სამეურნეო საზოგადოების განყოფილების სხდომა. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი რა საშუალებით შეიძლება გაუმჯობესება მევენახეობისა და მეღვინეობისა. ამ საკითხის განხილვის წინადადება მისცა გუბერნატორს ნამესტნიკმა.

◆ ქუთაისის საზღოსნო სასწავლებელში როგორც პრაქტიკული, ისე თეორეტიული სწავლა შეჩერებულია და, როგორც გვითხრეს, ამ წლის გასვლამდე იქნება ასე.

◆ ამ ჟამად ქუთაისში შემდეგ სასწავლებლებშია სწავლა დაწყებული: ქალების წმინდა ნინოს სასწავლებელში 17 სექტემბრიდან, ამავე ხნიდან დაიწყო სწავლა ქალების უფასო სასწავლებელში და მთავრობის ქალების პროგიმნაზიაში და აგრეთვე ზოგიერთ კერძო სასწავლებელში. ვაჟების გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებელში გადასაყვანი ეგზამენები 23 სექტემბერს თავდება. სწავლა ამ სასწავლებლებში პირველ ოქტომბრიდან დაიწყება.

◆ 20 სექტემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, პოლიციის უმთავრეს სადგომის მახლობლად ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს დიატროპტოვს დახვდა ორი ახალგაზრდა, ბლუზაში გამოწყობილი კაცი, წართვა ახლად მიღებული ჯამაგირი, 300 მანეთზე მეტი, და გაიქცა. ყველა ეს, როგორც ხალხი ამბობს, სწრაფად მოუხდენიათ. როგორც გვითხრეს, დიატროპტოვი ამ შემთხვევისა გამო პეტერბურგში საჩივარსა ჰგზავნისო.

◆ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლა ჯერ არ დაწყებულა და არც იციან, როდის დაიწყება, რადგან ამ სასწავლებლის საქმეები მეტად გამოურკვეველ მდგომარეობაშია. ეჭვი არ არის, ამ სკოლის ბედ-იღბალს ამ ჟამად ქუთაისში მოწვეული სამღვდელოების საგანგებო კრება გადასწყვეტს.

◆ ქუთაისში ძარცვა-გლეჯა და დუქნების ტეხა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. სძარცვენ ყველას, ვისაც-კი წააწყდებიან, განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და შეძლებისა. 19 სექტემბერს ღამე ტფილისის ქუჩაზე გამოანგრიეს პეტერბურგის „ნადეჟდას“ საზოგადოების ქუთაისის კანტორის საწყობის კედელი და გაიტანეს 900 მანეთის აბრეშუმის საქონელი. აღსანიშნავი აქ ის არის, რომ საიდანაც ეს კედელი გამოანგრიეს, იმ ეზოში გარდა იმისა, რომ ცხოვრობს დიდძალი მდგმური, ცხოვრობს სტრაჟნიკი.

◆ 20 სექტემბერს, ღამე ჯაჭვის ხიდთან ჩვენი ახალ-მოდის ღამის მოთარეშეები შესდგომოდნენ ს. ნადარეიშვილისა და ი. დათიაშვილის დუქნების გატეხას. პირველი ბაკალეინო საქონლით ვაჭრობს, მეორე ჩექმების მკერავია. თითო ბოქლომი უკვე დაემსხვრიათ, რომ ღამის მცველს მოესწრო და გაქცეულიყვნენ. ამავე ღამეს ამ ხიდის მახლობლად გაეტეხათ ქალაქის ნავთის საწყობი და დახლიდან ორი შაური წაეღოთ, რადგან მეტი არ ყოფილიყო.

ერობის შემოღება

ქუთაისი, ორშაბათს, 19 სექტემბერს, განახლდა გუბერნიის საერობო კრება. ხალხი ბლომად შეიკრიბა. უკიდურესმა პარტიამ წინა დღით წარდგენილი ხელ-მოუწერელი რეზოლიუცია უკანვე წაიღო. წარმოადგინა სხვა რეზოლუცია საერთო ხასიათისა და დაჟინებით ითხოვდა კენჭის ყრით გადაწყვეტილიყო საქმე. თავმჯდომარე წინააღუდგა და იმ აზრისა იყო, რომ რეზოლუცია განსახილველ საგანს არ ეხება და კენჭს ვერ ვუყრიო. ამით გაგულისებულნი ზალიდან გავიდნენ. დარჩენილი წარმომადგენლები, რიცხვით დაახლოვებით 20, საერობო პროექტის განხილვას შეუდგნენ, მაგრამ ზალაში მყოფმა ხალხმა, წასულების მომხრეებმა, სჯა-ბაასის ნება არ მისცეს ყვირილით, რევოლვერისა და პეტარდების სროლით. კრება სამშაბათისთვის გადაიდო.

ახალქალაქის მაზრაში საერობო სამაზრო კრება, გადასახადთა ინსპექტორის კვალიაშვილის თავმჯდომარეობით, დაიწყო 27 აგვისტოს და დასრულდა 5 სექტემბერს. სხდომებს დაესწრო 20 წარმომადგენელი. კრებამ განიხილა 1864 წლის დებულება და მოიწონა იგი ცვლილებით. კრებამ საჭიროდ სცნო როგორც ქონებრივი, ისე სწავლის ცენზი. დასასრულ მოხდა წარმომადგენლითა არჩევნები. ნამესტნიკის საბჭოში წარმომადგენლად აირჩიეს გადასახადთა ინსპექტორი კვალიაშვილი, ხოლო საგუბერნიო საბჭოში: ლომან-ბეგ ფილავანდიშვილი, მეცატულოვი, ტერ-გრიგორიანცი და კაჩაზნუნი.

ოფიციალური განცხადება

„კავკაზის“ № 241-ში დაბეჭდილია:

„კავკასიის ნამესტნიკმა, გაიცნო-რა ამ ქვეყანაში სახალხო სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობა, საჭიროდ სცნო ადგილობრივ მკვიდრთა პირველ დაწყებით სასწავლებლებში შეტანილ იქმნას ზოგიერთი ცვლილება, რომელიც ხალხის სურვილსაც დააკმაყოფილებს და საქმისთვისაც სასარგებლო იქნება.

ახალს საფუძვლებზე სწავლის საქმის დამყარებისათვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, თანახმად ნამესტნიკის განკარგულებისა, დაარსა განსაკუთრებული საბჭო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ქართველ, სომეხ და თათარ მასწავლებლებმა. საბჭოს მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა წარედგინა განსახილველად ნამესტნიკის საბჭოს.

როცა საბჭოს აზრი ამის შესახებ ნამესტნიკს გენ.-ადიუტანტს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს მოახსენეს, მისმა ბრწყინვალებამ ბრძანა შემდეგი: „საბჭოს დადგენილება სახელმძღვანელოდ იქმნას მიღებული კავკასიის მკვიდრთათვის პირველ დაწყებით სწავლების გეგმის შემუშავების დროს; დროებით-კი, ამ სამოსწავლო წელს, სკოლებმა უნდა იხელმძღვანელონ 1881 წელს 13 იანვარს კავკასიის ყოფილ ნამესტნიკის მიერ მოწონებულისა და დღემდის არ გაუქმებულის გეგმით, რომლის ძალით სკოლებში სწავლება დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს იმ პირობით, რომ სახელმწიფო ენის სწავლებასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს“.

ეს რეზოლუცია ნამესტნიკისა ეცნობა აღსასრულებლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს“.

პრესსა

რაც უფრო ახლოვდება სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დრო, მით უფრო ცდილობენ რუსეთის ლიბერალები ძლიერი პარტია შექმნან და მომავალ პარლამენტში ხმის უმეტესობა უზრუნველ ჰყონ თავისთვის. ლიბერალების პარტიის საფუძვლად საერობო და საქალაქო თვითმმართველობის ორგანოები ჰხდებიან. პირველ ხანებში საერობო და საქალაქო მოღვაწეთა ორგანიზაციას მთავრობა ისევე ალმაცერად უყურებდა, როგორც ყოველსავე სხვა მეცადინეობას პარტიის შესაქმნელად. ამიტომ ამ დღეებში მომხდარ ყრილობამდე ბიუროკრატია ნებას არ აძლევდა ოფიციალური კრებები გაემართათ, ეხლა-კი კრება მთავრობის ნებართვით მოხდა. კრებამ, სხვათა შორის, შეიმუშავა მოწოდება მცხოვრებთა მიმართ სახელმწიფო სათათბიროში არჩევნების შესახებ და დაადგინა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საარჩევნო აგიტაციაში, მაგრამ ამასთანავე აცხადებს, ჩვენი ორგანიზაცია პარტიას არ შეადგენს, იგი მხოლოდ კავშირია ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეებისა, რომელმაც ყველასათვის მისაღები პლატფორმა შეიმუშავაო. რუსეთის რადიკალური პრესსა-კი ამ ორგანიზაციას ნამდვილს პარტიას უწოდებს, რომელსაც ეხლავე გამარჯვებას ულოცავს. გაზეთი „ნაშა ჟიზნი“ ამის შესახებ სწერს:

> ეხლა, სექტემბრის კრების შემდეგ, როდესაც ცნობილი რეზოლიუციები იქმნა მიღებული, უკვე ნათლად დაფუძნილ პარტიასთან გვაქვს საქმე, და არა ბლოკთან, რომელიც გამოწვეულ იქმნა შინაურ ცხოვრების მძიმე კრიზისისაგან და წარმოსდგა შემთხვევითის ელემენტებისაგან; იმის ელემენტებზე აღარ ითქმის, ერთი პოლიტიკური წარმოდგენები არა აქვსო. აქამომდე რუსეთში ლეგალურად მხოლოდ „მიმართულებანი“ არსებობდნენ. პირველი პარტია კი და სამწუხაროდ, ამასთანავე ერთად ერთიც, მარტო ეხლა დაარსდა. ამ პარტიას აქვს ორგანიზაცია, ჰყავს წინამძღოლები, აქვს პროგრამა საერთო და პრაქტიკული, აგრეთვე პროგრამა ტაქტიკისა. გარდა ამისა საკმაოდ მტკიცე საფუძველი აქვს—ადგილობრივი ძალები.
>
> ადგილობრივი თვითმმართველობა ამ პარტიის მთავარი ძალაა, იგი ჰქმნის იმისთვის პოლიტიკურ მოღვაწეობის ფართო ასპარეზს და ძლიერს თანამგრძნობს ატმოსფერას—და უეჭველია, ეს პარტია პრაქტიკულად გამარჯვებული გამოვა მომავალ კომპანიიდან..
>
> სექტემბერში ახალმა პარტიამ კიდევ ერთი გაბედული ნაბიჯი გადადგა წინ სიმპატიისა და მნიშვნელობის გასაძლიერებლად. კრებამ ეხლა პირველად გამოსთქვა თავისი გარკვეული აზრი ეროვნულ საკითხის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად არის გამწვავებული და რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაც გადასჭრის რუსეთის ბედ-იღბალს.

რუსეთში ყველაფერი უცნაურად ხდება. უცნაურია ისიც, რომ საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრება თვითონ პირდაპირ აცხადებს, ჩვენ პარტია არა გვაქვსო.

რუსეთის პრესსა-კი ამტკიცებს, ეს უეჭველად პარტიაა და ამასთან მეტად ძლიერიცაო. პარტიას უწოდებენ ამ ორგანიზაციას თუ შემთხვევითს კავშირს, ეს სულ ერთია, მომავალი სახელმწიფო სათათბირო უმთავრესად იმ პირებისაგან იქნება შემდგარი, რომელნიც ეხლა საერობო და საქალაქო მოღვაწეების კრებებზე იღებენ მონაწილეობას.

რუსეთის ქრონიკა

ვექილთა კავშირში მონაწილენი სამართალში. მოსკოვში გაუგზავნიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო საქმეთა მოხელე. ამ მოხელემ ჩვენება უნდა ჩამოართვას იმ ვექილებს, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ვექილთა კავშირში. მრავალი იმათგანი სასჯ. დებ. მე-126 მუხლის ძალით სამართალში მიუციათ. (ნ. დნია).

სამხედრო მინისტრის ადიუტანტთა დათხოვნა. სამხედრო მინისტრს წინადადება მიუცია თავის ოც ადიუტანტისათვის, რომ ორი თვის განმავლობაში მოსძებნონ სხვა თანამდებობანი, რადგან იგი საჭიროდ აღარ სთვლის ამდენ ადიუტანტების ყოლას და ორითაც იოლად წავალო. კუროპატკინის მინისტრობის დროს ოცზე მეტი ადიუტანტი ჰყავდა თურმე. (ნ. დნია).

ლ. ტოლსტოის უკანასკნელი წერილი. ის ხმა, ვითომც ლ. ტოლსტოის სახელმწიფო სათათბიროს წევრობა ჰსურდეს, ყოველსავე საფუძველს მოკლებულია, აცხადებენ ტოლსტოის მეგობრები და დასძენენ: ფრანგულ გაზეთ „ტაიმს“-ში დაიბეჭდა ამ დღეებში ტოლსტოის უკანასკნელი წერილი, სახელმწიფო უფლებობის შესახებ („ედინა ნა პატრებუ“), რომელშიაც იგი გადაჭრით უარსა ჰყოფს და ჰგმობს როგორც სახელმწიფო უფლებას, ისე ყოველსავე მონაწილეობას იმის საქმეებშიო“. (ნ. ჟიზნ).

ბოქაულის მოკვლა. ქ. დვინსკში ნაშუადღევის 2 საათზე ორ ამხანაგით მიდიოდა თურმე ბოქაულის თანაშემწე ოვსიანკო. ქუჩის კუთხეში შეუნიშნავთ ორი ყმალი კაცი, რომელნიც პირდაპირ მათკენ მიდიოდნენ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ. როცა ოვსიანკო გამოსთხოვებია ამხანაგებს და მარტო წასულა, უეცრად ფუარებელ ხალხის თანდასწრებით უსროლიათ რევოლვერები და სასიკვდილოდ დაუჭრიათ. ბოქაული 15 წამის შემდეგ მომკვდარა და ამ ხნის განმავლობაში სულ იმას ეუბნებოდა ნათესავებს: „ოჰ, შე ოხერო ჩემო თავო, რატომ არ გამოველ სამსახურიდანაო“. (ნ. დნია).

მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედება. ლიტერატორი, ფილოსოფიის დოქტორი ს. სვატიკოვი სამართალში მიუციათ. სვატიკოვს ჰბრალდება არსებულ თვითმპყრობელობის წყობილების წინააღმდეგ ამაღელვებელ სიტყვის წარმოთქმა ვექილთა კრებაზე წარსულ წლის 5 დეკემბერს. სვატიკოვი რამდენიმე თვე საპატიმროში იჯდა. (პრ.).

პროკლამაციები გემში. მარსელიდან ოდესაში მოსულ ფრანგთა გემს „გვადიანა“-ში 3 სექტემბერს უპოვნიათ 9 ფუთი აკრძალული წიგნაკები. დაუჭერიათ 2 ქალი და ამათ აბრალებენ პროკლამაციების გადმოტანას. (პრ.).

დედათა გიმნაზიის დაარსება პორტ-არტურში. ახლად გამოსულ სახელმწიფო საბჭოს ანგარიშში შემდეგი საინტერესო ცნობაა მოთავსებული. როდესაც პორტ-არტური უკვე ალყა შემორტყმულ იყო გამოცხადებული და დღე დღეზე იაპონელებს უნდა აეღოთ, საერო განათლების სამინისტროს წინადადება შეუტანია სახელმწიფო საბჭოში და ფული უთხოვნია დედათა გიმნაზიის შენობის ასაგებად პორტ-არტურში. სახელმწიფო საბჭოს უდროოდ უცვნია ამ შენობის აგება და სამინისტროს შუამდგომლობა უარუყვია.

ნებადართულ წიგნების დაჭერა და გაზეთების კითხვის აკრძალვა. ოდესის ერთ წიგნის მაღაზის „ობრაზოვანიე“-ში 20 აგვისტოს პოლიციას დაუჭერია 4,315 ცალი წიგნი, „მერტვეცი კომუნნი“, გამოცემული არტურ არნუს მიერ სათაურით „ვპერიოდ“, რომელიც ცენზურის ხელში გავლილი და ნებადართული ყოფილა. პოლიციას ამის მიზეზად ის დაუსახელებია, რომ წიგნში ვიღაც უცნობ ავტორის მიერ ივნისში მომხდარი ოდესის არეულობაა აწერილიო.

კავკასიაში დივიზიის უფროსს სვეტლინოვს გამოუცია ბრძანება, რომლითაც სასტიკად უკრძალავს სალდათებსა და ოფიცრებსაც „სინ ოტ.“-ს, „[illegible] ჟიზნ“-ის, „რუს“-ის და „კავკაზ“-ის კითხვას. (პრ.).

პატიმართა აჯანყება საპატიმროებში. 5 სექტემბერს, ბერდიანსკის საპატიმროში ტუსაღთა შორის დიდი არეულობა მომხდარა. ტუსაღებს ჩაუმტვრევიათ კარ-ფანჯრები და გამოუნგრევიათ საპატიმროს კედელი. აჯანყებული ტუსაღები ჯარის შემწეობით დაუმშვიდებიათ.

მსგავსივე არეულობა მომხდარა 6 სექტემბერს არლოვის სატუსაღოში, სადაც დასამშვიდებლად პოლიცია და სკოპინის 1 როტა მიუწვევიათ. ამ არეულობის დროს მოუკლავთ 1 და დაუჭრიათ 5 მეამბოხე პატიმარი. (პრ.).

„იუჟნ. სლ.“-ს ცენზორად, საერობო საბჭოს თავმჯდომარის მილორადოვიჩის ნაცვლად, დაუნიშნავთ კრემენჩუგის ისპრავნიკი იურკევიჩი და ამის მოადგილედ—ისპრავნიკის თანაშემწე ახალ ცენზორის ხელში გაზეთის ნახევრად ცარიელი ალაგები განცხადებებით ივსება. („ს. ოტ.“).

„დაკარგული რედაქტორი. რეაქციონურ გაზეთის „დენ“-ის რედაქტორი ბერგი სადღაც მიმალულა და რამდენი ხანია ამაოდ თურმე ეძებენ. საქმე ის არის, რომ ბერგი ვალებში ჩავარდნილა და ვეღარ გადაუხდია. მას აუღია „სალიტერატურო საჭიროებისთვის“ 2.300 მან. ვილნოს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაგან და 8.000 მან. ვიღაც ჩალიკოვის ქალისაგან. რედაქტორისთვის ზევიდან 30,000 მანეთი სუბსიდია დაუნიშნავთ და მოვალეებს ფულის განაღდების იმედი მისცემიათ, მაგრამ თვით რედაქტორი ველარსად უპოვნიათ. მოვალეები მაინც იმედს არა ჰკარგავენ თურმე და დაეძებენ რედაქტორს. (ს. ოტ.).

წერილები

სოფ. კორბოული (ზემო იმერეთი). წარსულ 3—4 წლების მოუსავლობამ დიდად შეაწუხა ზემო-იმერეთის მცხოვრებნი და ლამის წელში გასტეხა. წელს გაზაფხულის პირზე საიმედო პირი უჩანდა მოსავალს, მაგრამ თიბათვე-მკათათვეში ხანგრძლივმა გვალვამ ეს იმედიც გაგვიცრუვა: პურის მოსავალი ჩვენსკენ საშუალოზე ნაკლები იყო: სიმინდის და ღვინის მოსავალსაც ამაზე ნაკლებს ველით. ასე და ამ გვარად მომავალ წლისათვის საგრძნობელი შიმშილია მოსალოდნელი, რადგანაც ათში ერთს თუ მოუვა წლის სარჩო. ზემო იმერეთის ზემო მხარეში ამ ბოლო ხანებში ჭირნახულის მოსავალი შესამჩნევად გადგა და რაც ხანი გადის, თანდათან უფრო უარესდება. ამისი მიზეზები შემდეგია: სახნავ-სათესი მიწის სიმცირე, ნიადაგის გამწირება და მისი დაუპატიურება, მიწის შემუშავება ძველის დროის იარაღით და გვალვა. აი მიზეზები, რომლებიც საშიშ საფრთხეს უქადის ჩვენი ხალხის კეთილდღეობას და რომელთაც ახლავე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. გვალვა თანდათან ძლიერდება მას შემდეგ, რაც ჩვენი დაბურული ტყეები გაიკაფ-გაიჩეხა და უდაბნოს მსგავსად მოტიტვლდა. ზემო-იმერეთი, ეს ოდესმე ტყეებით ედემის მსგავსი მხარე, ლამის სახარის უდაბნოს დაემსგავსოს, რადგან შენიშნულია, რომ ტყის მოსპობას თან მოსდევს გვალვა. ათასში თუ ერთხელ მოვიდა წვიმა, მაშინვე ნიაღვრად იქცევა, რის გამო ნათესობას ხვეტს და ისედაც ჯანგამოლეულ მიწის ნიადაგს, უფრო ამწირებს. ეს ერთი თვეა, რაც ჩვენს და მთლად საჩხერის მხრის სოფლებში თურქული მძვინვარებს, მთლად დაშვებულია ძირს მომუშავე საქონელი ამ სენით. ამბობენ, ამისთანა ძნელათ მოსახადი ჯერ არავის არ გვახსოვს ეს სენიო. ჯერ-ჯერობით 10 სულამდე იმსხვერპლა ამ სენმა და ბევრიც სიკვდილის პირზე მიაყენა. ბეითალიც მოიყვანეს, რომელმაც წამლები დაუტოვა ხალხს, მაგრამ მაინც არაფერი ეშველა-რა, რადგან ეს სენი დღით-დღე ძლიერდება. დაუყონებლივ საჭიროა მხნე მოქმედება ამ სენის წინააღმდეგ, რადგან ხალხისთვის მუხა სა-

---

ხვეც. გუბრუნდები ეხლა მთავარ საგანს. რა გგონიათ, რომელ ლოღიკის ძალით დიდმა, ცენტრალისტურმა სახელმწიფომ, თუნდაც იმავე გერმანიამ, უნდა უთხრას პატარა ავტონომიურ სახელმწიფოს, ჰოლანდიას, მაგალითად, რომ ჰოლანდიელები კაიზერის ქვეშევრდომებად უნდა გახდნენ და გაგერმანელდნენო. ღვთისა და ადამიანის კანონი, სამართალი და სამართლიანობა სცნობს მხოლოდ და მხოლოდ ერთ ინტერესს—ინტერესს თვით მცხოვრებლებისას. თვითონ მცხოვრებნი უნდა იყვნენ თავიანთ ბედ-იღბლის გამგენი—ეს არის ჭეშმარიტი სამართლიანობა. ვინც წინააღმდეგს ამბობს, იმან არა უწყის რა საერთაშორისო უფლებისა, რომელიც თანასწორ სახელმწიფოებად სცნობს რუსეთს და შვეიცარიას, დანიას და გერმანიას, ჰოლანდიას და ინგლისს. ვინც პატარა ერების ავტონომიის წინააღმდეგ ლაპარაკობს, ის ან მტაცებელ-გამგლეჯია ან უვიცი მონა, რომელსაც საკუთარი თავი მიჰყავს ძლიერთა ამა სოფლისათა. განათლებულმა ადამიანმა იცის, რომ პატარა და ავტონომიური სახელმწიფონი ნიმუშად შექმნილნი იყვნენ პროგრესისა და ცივილიზაციისა. გაიხსენეთ პაწია ფედერატიული საბერძნეთი ათინის მეთაურობით და კოლოსალ სპარსეთი ქსერქსის დროს, გაიხსენეთ პაწაწა რესპუბლიკები—ფლორენცია, პიზა, გენუა, ვენეცია და სხვანი, რომელთაც შექმნეს დიდებული ხანა აღორძინებისა და შეადარეთ ეს რესპუბლიკები ჰოჰენშტაუფენთა ბარბაროს იმპერიას. შეადარეთ მსოფლიო იმპერია კარლოსისა და ფილიპესი და პატარა ჰოლანდია, ფლანდრია და ბრაბანტი. გადაავლეთ, თვალი ევროპა ამას და ნათლად დაინახავთ, რომ წარსულში ყოველთვის და ყველგან მეცნიერება, ხელოვნება, მრეწველობა და მთლად კულტურა ვითარდებოდა პატარა ავტონომიურ, თვით-მმართველ და თავისუფალ ხალხთა შორის.

პროფესორი გაერთო. აშკარა იყო, რომ გულის ნადებს, დიდის ხნის ნაფიქრს შეეხო. იმისმა აღფრთოვანებულმა სიტყვამ ყველანი ჩააფიქრა, სმენად გადააქცია. ყველამ თვალი იმის პატარა, მაგრამ კოხტა ფიგურას მიაპყრო.

— იცით, ბატონებო,—განაგრძო კვლავ პროფესორმა:—რომ ეხლაც, ჩვენ დროშიაც პატარა ავტონომიური სახელმწიფონი კაცობრიობის სათავეში დგანან? არა გჯერათ? მაშ ინებეთ ფაქტები. შევადაროთ პატარა ავტონომიური სახელმწიფონი დიდ, მაგრამ ცენტრალიზმით შეჭიდებულ, ბიუროკრატიზმით გამსჭვალულ სახელმწიფოებს, თუნდა, მაგალითად, იმავ პრუსიას. ბიუროკრატიულ პრუსიაში ითვლება $34^1/_2$ მილიონი სული მცხოვრები. ავიღოთ შესადარებლად ისეთი პატარა ავტონომიური სახელმწიფონი, ერები და ახალშენები, სადაც ამდენივე მცხოვრებია. დანია, ჰოლანდია, შვეცია, ნორვეგია, შვეიცარია, ბელგია, კანადა და ავსტრალია—აი, ამ სახელმწიფოებსა და ახალშენებში, თუ ერთად ავიღებთ, სწორედ იმდენი სული სცხოვრობს, რამდენიც თქვენს განათლებულ პრუსიაში. აბა ეხლა შევადაროთ იქ და აქ განათლების საქმე. აქვე მაქვს სტატისტიკა. ხომ მოგეხსენებათ, ციფრი ყველა მეტყველზე უფრო მეტყველია. ვერც ერთი დიალექტიკა ციფრის მაგიერობას ვერ გასწევს. ციფრი კი შემდეგს გვეუბნება:

	პრუსიაში არის:	ზემოდ ჩამოთვლილ სახელმწიფოებში არის:
მცხოვრები	34,463,000	34,500,000
უნივერსიტეტი	11	24
სტუდენტი	22.800	28,300
საშ. და უმაღ. სკოლა .	578	2,140
ამ სკოლებში სწავლობს.	160,200	350,200
ელემენტ. სკოლა . . .	38,840	72,860
ამ სკოლებში სწავლობს.	5,500,000	6,382,000

აბა დააკვირდით ამ სტატისტიკას. რას გვეუბნება? იმას, მოწყალენო ხელმწიფენო, რომ ხალხისთვის, საშუალო და დაბალ სწავლა-განათლებისთვის პატარა ავტონომიურმა და ფედერატიულმა ერებმა და ახალშენებმა ორჯელ მეტი გააკეთეს, ვიდრე თქვენმა დიდმა და ნაქებმა პრუსიამ. მაგრამ ეს კიდევ სულ არ არის. შეადარეთ ხარჯი სწავლა-განათლებაზე ამ პაწია სახელმწიფოებისა და დიდ პრუსიისა. ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ ბისმარკი და პრუსიის პატრიოტები, თვით ბებელი და კაუტსკი, განუწყვეტლივ იმას გაიძახოდნენ და გაიძახიან, რომ ავსტრია და საფრანგეთი დაამარცხა პრუსიის „სოფლის მასწავლებელმაო“. ბატონი ბრძანდებით, აგრე იყოს. ახლა ავიღოთ პრუსიისა და თქვენ მიერ მოძულებულ ავტონომიურ სახელმწიფოებისა და ერების ხარჯი სახალხო სწავლა-განათლებაზე, „სოფლის მასწავლებელზე“, როგორც გერმანელებმა კვეხნით უწოდეს გამარჯვებულს.

ყოველ წლიური ხარჯი სწავლა-განათლებაზე:

პრუსია	156 მილიონი ფრანკი.
ზემოხს. სახელმწიფონი . .	262 „ „

ეს პატარა ერები, სადაც იმდენივე სული სცხოვრობს, რამდენიც პრუსიაში, სახალხო სწავლა-განათლებაზე ასს მილიონს მეტს ხარჯავენ, ვიდრე თქვენი პრუსია.

ბელგიელი ხელ-ახლა გაჩუმდა. გაჩუმდით ჩვენც. მეტად აშკარა, ნათელი საბუთები გადაუშალა თვალ-წინ. მაინც ორატორის, ცოტა არ იყოს, უკმეხმა კილომ რაღაც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაგდო. თითქოს მიხვდა ჩვენს აზრსაო, პროფესორმა უფრო წყნარად განაგრძო საუბარი და სოციალ-დემოკრატს მიმართა:

— მაპატიეთ, ცოტა გავცხარდი და გადავაჭარბე. თქვენ პოლიტიკას მისდევთ და კარგად გეცოდინებათ, რომ სიმხნე გულწრფელობისა და ღრმა რწმენის მომასწავებელია... ამ რიგად რეფორმებისა და სწავლა-განათლების საქმეში გერმანელებს უფლება არა აქვთ პირველობა დაიჩემონ. ასევე ვერ დაიჩემებს გერმანია პირველობას საგარეო-სამრეწველო საქმეში. ამ შემთხვევაშიაც სტატისტიკას დავიმოწმებ. ამ უკანასკნელ ათ წლიწადს გერმანიის პრესსამ, სახელმწიფო მოღვაწეებმა და იმპერატორმა ყველას ყურები გამოუჭედეს გერმანიის საგარეო ნაოსნობის ვითომდა რაღაც გასაოცარ განვითარებით. გერმანიამ ყველა სახელმწიფოს გაუსწრო, დღეს არა, ხვალ იგი ინგლისსაც-კი უკან მოიტოვებსო და სხვა. მაგრამ ასე კია?

— დიახ, ჩვენმა საგარეო ნაოსნობამ საოცრად წაიწია წინ. ჰამბურგი, კილი, ლიუბეკი და დანციგი მეტოქობას უწევენ ლონდონს, ლივერპულს, საუტჰემპტონს!—დაამოწმა გერმანელმა.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენც იმას იმეორებთ, რასაც უგუნურობით ყველა დღე გაიძახიან გერმანიის და განსაკუთრებით თქვენი პარტიის [illegible]. არა, [illegible] ნეთ, რა კონკურენციაზე შეიძლება ლაპარაკი აქ, სადაც უკანასკნელი სტატისტიკით, *) ინგლისის საგარეო ფლოტს შეუძლიან 17 მილიონ ტონნა ტვირთის წაღება, თქვენსას-კი მხოლოდ $3^1/_2$ მილიონ ტონნისა (ზუსტადად—3,564,798 ტ.)? სად გაგონილა, რომ სამი მილიონი კონკურენციას უწევდეს 17 მილიონს? ეს ხომ მთლად თავის მოტყუებაა, უზომოდ გაზვიადება იმისა, რაც არ არის. თქვენ ინგლისს-კი არა, პატარა ავტონომიურ სახელმწიფოებსაც ვერ ამოუდგებით გვერდში. თუ მარტო დანიას, ჰოლანდიას, ბელგიას, შვეციას და ნორვეგიას ავიღებთ, დავინახავთ, რომ იმათი საგარეო ფლოტი გერმანიის ფლოტს აღემატება 554,032 ტონნათი (ზემოხსენებულ სახელმწიფოებში—4,128,830 ტონნაა, გერმანიაში—3,564,798 ტ.). ასე გახლავთ, ბატონო ჩემო. მარტო პატარა ნორვეგიას, სადაც $3^1/_2$ მილიონი სული სცხოვრობს, 1,776,218 ტონიანი ფლოტი ჰყავს, დიდ სამოც მილიონით დასახლებულ გერმანიას-კი მხოლოდ $3^1/_2$ მილიონ ტონნიანი ფლოტი. თქვენ თვითონ გადასწყვიტეთ, რომელი უფრო წინ წასულა—ბიუროკრატიული და ცენტრალური გერმანია, თუ ავტონომიური ნორვეგია, დანია, ჰოლანდია და ბელგია?..

ვ. გაზიანი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხილე ეხლა ხან გამოსული Lloyds Registrar" 1905 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი) ავადმყოფობა შემოდგომის პირზე ცეცხლზე წყლის დასხმაა. **კორბოულელი**

ხოფ. ალვანი (კახეთი). ამას წინად ალვანში, ჩალმა თუშებში, ორ თუშს მოჰპარეს ათი ცხენი. ორი დღე თავ-გამოდებულის ძებნით ვერას გამხდარან, მერე ამდგარან ორნივენი და ჩვიდმეტში საღამოთი თეთრ-წყლებს ქვემოდან ერთი ბილიკი შეუკრავთ იმ იმედით, იქნება აქეთკენ ამოატარონ მოპარული ცხენებიო. მართლაც იმედი არ გასცრუვებიათ. შუა ღამისას დიდი ჭექა-ქუხილი ამტყდარა და აგრეთვე დიდი შხაპუნა წვიმაც წამოსულა. სწორედ იმ დროს თავს წასდგომია ხუთი თუ ექვსი კაცი იმ მოპარულ ათი ცხენით. თუშებს დაუძახნიათ, დაყარეთ ეგ ჩვენი ცხენებიო, მაგრამ იმათ თოფის სროლით გაუციათ პასუხი. თუშებსაც დაუწყიათ სროლა. ამტყდარა თოფების ჭექა-ქუხილი. რა თქმა უნდა, ქურდებს უჯობნიათ, რადგან მეტნიც ყოფილან და მსწრაფლ-მსროლელი თოფებიც ჰქონიათ. ქურდები ცხენებიანად ტყეში შეცვივნულან. დაჭრილა ერთი თუში. ქურდთაგანი დაიჭრა ვინმე თუ არა, არ იციან. თვრამეტში დილით დაჭრილი თუში ამხანაგმა მოიყვანა თელავში საექიმოდ, ის ქურდები-კი არხეინად გასდგომიან გზასა. ისინი იმ გზით წასულან, სადაც ყოველ ნაბიჯზე სტრაჟნიკები დგანან. **არჩილ იოსებაძე.**

ს. ყვარელი (კახეთი). ნახევარი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ამ სოფელმა ყოველივე კავშირი შესწყვიტა ბიუროკრატიასთან, ამოარჩია 12 კაცი, ათის თავები, ასის თავები და სოფლის ბატონ-პატრონობა ამათ ჩააბარა. პირველში ეს ამორჩეულები საქმეს გულ მოდგინედ შეუდგნენ, შემდეგ-კი გული აიცრუეს და თანხმობით ვერ იმოქმედეს. ავაზაკობამ, რომელიც ამ ხანებში თითქმის შესწყდა, ხელ-ახლა იჩინა თავი და კიდევ აირია მონასტერი. დღეს ყვარელი ღვთის ანაბარად არის დატოვებული და ყურს არავინ გვიგდებს. ყვარელში სამი სტრაჟნიკია, სამივეზედ კარგი ფული იხარჯება, მაგრამ გაკეთებით, „პრიკაზების" დატარების მეტს არას აკეთებენ. ღვთის წინაშე, თავიანთ ცხენებსაც კარგად ასუქებენ. მღვდელ-დიაკვანთ ვერ დაუდგათ კარგი წელიწადი, კოდ პურსა და სხვა რამეზედ ბევრმა უარი უთხრა.

ალბად, მკითხველს ახსოვს, რა დრამა დატრიალდა ს. გრემში 8 აგვისტოს. აქ იმათ სულის მოსახსენებლად, დიდის ხალხის თანადასწრებით, ყველა ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს და წარმოსთქვეს შესაფერი სიტყვები, თანაც შეჰკრიბეს 30 მ. და დაზარალებულთ გაუგზავნეს. დიდი მადლობის ღირსია ფიდა ჭიბოშვილი, რომელმაც ეს ფული შეჰკრიბა.

29 აგვისტოს რომანა ცუკილაშვილს დათა ხარატაშვილისთვის ცხენი მოეპარნა. ერთმა მწყემსა ეს ქურდი დაიჭირა და მოპარულ ცხენიანათ სოფელს გადასცა. გლეხობა ძრიელ აღელვა ამ ამბავმა; ქურდს ხელები შეუკრეს, თავის მოპარულ ცხენს ძუაზედ მიაბეს და რადგან არ გამოტყდა ქურდობაში და არც ამხანაგები დაასახელა, ასე ცხენზედ იბმული ქუჩა-ქუჩა ათრიეს და მოჰკლეს. ეს ქურდი ინადაც ყოფილა შენიშნული.

მოსე ცქვიტიშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

„ცნობის-ფურცლის" მე-2911 ნომერში მოთავსებულია ამბავი ს. კასპიდან ჩემგან იარაღის წაღების შესახებ. *) სხვათა შორის, ამ ამბავში შემცდარი აზრია. ნათქვამია, ვითომ ამის გამო სოფლელებისათვის ეგზეკუციათ პოლიციას ჩაეყენებინოს თითო ოჯახში სამ-სამი ყაზახ-რუსი. ჯერ ერთი ს. კასპში ჯერ-ჯერობით არავითარი ეგზეკუცია არ არის, და თუნდაც იყოს კიდეც, ალბად, პოლიციის სხვა რაიმე მოსაზრებით იქნება და არა იმიტომ, რომ სოფლელებმა არ გასცეს წამღებნი. იარაღი მართლაც წაიღეს როგორც ჩემგან, ისე სხვებისაგანაც, მაგალითად, თავ. ზაქარია ჭავჭავაძის სახლიდან და სადგურის მოსამსახურეებისაგან. სხვათა შორის, თავ. დიმიტრი ამილახვარს დურბინდიც-კი გამოართვეს. სხვისა არ ვიცი, მხოლოდ მე ჩემის მხრით პოლიციისათვის არ მიცნობებია ამ საქმის შესახებ. ან რა საჭირო იყო ჩვენგან შეტყობინება პოლიციისათვის, როცა ეს ამბავი მოხდა დღისით, 8½ საათზე, მრავალ მიმსვლელ-მომსვლელთა თვალ-წინ, როდესაც იარაღის წამღები კაცები, დაყენებულნი უმთავრესს სასოფლო გზებში, მიმსვლელ-მომსვლელთ არ უშვებდნენ არც სოფელში, არც სოფელ გარედ. ამათ შორის, რასაკვირველია, იქნებოდნენ ისინიც, რომელთა სოფელშიაც პოლიცია იდგა და დღესაც სდგას, ე. ი. ს. ქვემო-ჭალას, კასპიდან შვიდ ვერსის მანძილზედ.

რადგან ზოგიერთებს ჰგონიათ, ვითომ ყაზახთა მოსვლაში რამდენისამე საათით ს. კასპში ამ ზემოხსენებულ საქმის გამოსაძიებლად მეც რაიმე წილი მედოს, ამისათვის უსაფუძვლო ცილის წამების ასაცილებლად, გთხოვთ, ბ-ნო რედაქტორო, ადგილი მისცეთ ამ ჩემს წერილს თქვენის პატივცემულ გაზეთის მახლობელ ნომერში. **ნ. ანდრონიკაშვილი**

დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

22 სექტემბერი.

ქუთაისი. გუშინ, საღამოს 7 საათზე, თეატრის მახლობლად რევოლვერით მოჰკლეს ქვიტირის სოფლის მწერალი მეძმარიაშვილი. ტყვიამ მკერდში გაუარა და მოხვდა ფეხში ახალ-გაზრდა ქალს.

საღამოს 9 საათზე კლუბის მახლობლად რევოლვერით მოჰკლეს ვალიკო წულუკიძე. მკვლელები დაიმალენ. წულუკიძეს ხუთჯერ დაახალეს რევოლვერი.

ქუთაისი, 22 სექტემბერი. ნატანების ახლოს, ტყეში ჩასაფრებულებმა ესროლეს ფოსტას. მოჰკლეს ორი სტრაჟნიკი, დანარჩენებმა ფოსტა გადაარჩინეს.

პეტერბურგი. არც ერთ იმ საქმეს, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს შეეხება, არ განიხილავს მინისტრთა კომიტეტი მინისტრთა კაბინეტის დაარსებამდე. ამბობენ, რომ საერო განათლების მინისტრს განზრახვა აქვს პოლონელებისა და ებრაელების ყველა სასწავლებლებში მიღების განსაზღვრას წინააღუდგესო.

იუსტიციის სამინისტროს, „ნოვოე ვრემია"-ს სიტყვით, გაუთავებია ადგილობრივ იუსტიციის რეფორმის პროექტი.—განზრახვაა, განაახლონ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი.

ქალაქებისა და ერობების მოღვაწეთა სიეზდის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს, რათა ნება დართონ პეტერბურგში საკუთარ ორგანოზე არჩევნების წინ აგიტაციის გასამართავად.

„ნოვოე ვრემია"-ში მოთავსებულია ვრცელი სტატია ბაქოს ნავთის მრეწველობის მდგომარეობაზე. ავტორის აზრით ნავთის დამუშავება ხაზინის ხელში უნდა გადავიდეს, თუნდაც წვრილ მრეწველთა საშუალებით, რომელნიც ამჟამად საბოლოოდ გაუქულეტია მონოპოლისტებს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

21 სექტემბერი

მოსკოვი. საბჭომ გადასწყვიტა, იშუამდგომლოს, რათა ქალაქს ნება მიეცეს სახელმწიფო სათათბიროში. საბჭოში ცხარე შეტაკება მოხდა ხმოსნებ შჩეპკინსა და შმაკოვს შორის საქალაქო მილიციის შემოღებაზე სჯა-ბაასის დროს. შმაკოვმა შჩეპკინის აზრს ამ საქმის შესახებ საარჩევნო [illegible] უწოდა და უარი სთქვა უკან წაეღო ეს სიტყვები. ხმოსნებმა მიატოვეს სხდომის დარბაზი, განაცხადეს რა, რომ მათ არა სურთ ყური დაუგდონ შმაკოვს. ქალაქის მოურავმა დახურა სხდომა.

პეტერბურგი. შუამდგომლობა ებრაელების უპროცენტოთ მიღებაზე უნივერსიტეტებში დაკმაყოფილებული იქნება მხოლოდ მიმდინარე წლის შესახებ.

სენატმა განმარტა, რომ წიგნთ-სავაჭროების გახსნა, რათა იაფად გაიყიდოს წიგნები, ყრილობების საქმე არ არისო.

პარიზი. გერმანიის საიმპერიო კანცლერმა, პარიზის გაზეთების სიტყვით, დაამოწმა, რომ გერმანია მაროკოს საქმეში ჩარევით მხოლოდ თავის ნაციონალურ ინტერესების დაცვისკენ მიისწრაფოდა და სხვა არავითარი გამოსარჩენი არა ჰქონდა მიზნადაო. კანცლერი არავითარ დაბრკოლებას არა ხედავს იმაში, რომ კონფერენციის სხდომები გაიმართოს ალჟეზირასში. რუვიეს წყალობით—განაცხადა ბიულოვმა, საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა სასურველ მიმდინარეობას მიიღებსო. რუსეთსა და გერმანიის შორის ხანგრძლივმა კეთილგანწყობილებამ სრულებითაც არ უნდა ავნოს საფრანგეთთო.

პეტერბურგი. ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ყრილობას დაესწრო 1045 სტუდენტი. გადასწყვიტეს, განაახლონ მეცადინეობა.

ჩიტა. ჯარის შესახებ ახალი ცნობები არ მოსულა.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება: 1. დაარსდეს შორეულ აღმოსავლეთში ტყვეობიდან დაბრუნებულ პორტ-არტურელებისაგან ის ნაწილები, რომლებშიაც ისინი მსახურებდნენ; მათ უფროსობდეს ის უფროსები, რომელნიც მათთან ტყვედ იყვნენ; დაურიგდეს ყველას საჭირო იარაღი; 2. დაურიგდეს მე-5, 13, 14, 15, 16-ს აღმოსავლეთ ციმბირის მსროლელ პოლკებს შენახული გადარჩენილი ბაირაღები; 3. კავკაზიის აღმოსავლეთ-ციმბირის მე-26, 27 და 28 მსროლელთა პოლკებს ბაირაღები, რომელნიც ვერ მიუღიათ, პორტ-არტურთან მიმოსვლის შეწყვეტის გამო; 4. გადარჩენილისა და ნაპოვნ ბაირაღების გადაცემა პორტ-არტურელებისთვის მოხდეს შესაფერის პატივითა და დიდებით; 5. ყველა პორტ-არტურელებს გამოეცხადოთ უმაღლესი მადლობა თავგანწირულ სამსახურისთვის; 6. რადგანაც განზრახულია პორტ-არტურელების სათადარიგო ჯარის კაცებად დათხოვნა, ამიტომ დაინიშნოს მათ ადგილზე სხვა ნაწილების ჯარის კაცნი, რომელთაც ებრძანოს დანიშნულ ადგილზე დათხოვნილების წასვლამდე მისვლა.

პსკოვი. გენ. კუროპატკინმა 15 ათასი მანეთი გამოგზავნა გუნჯულინიდან გუბერნატორის სახელზე. ეს ფული მას შეუწირავს მის სოფლის [illegible] მცხოვრებთათვის პირველ-დაწყებით სკოლის შესანახად.

ვარშავა. ხოლერით ავადმყოფების შესახებ დანიშნულმა კომისიამ დაადგინა, გაიმართოს ვარშავაში 4 სადეზინფექციო კამერა, გაფართოვდეს წყლის მიღების ქსელი, გაყვანილ იქნას კანალიზაცია პრაგაში, გაკეთებულ იქნას ნაკვეთის დასაწვავი ღუმელი და, 5 ექიმი დაინიშნოს ავადმყოფებისთვის ბინაზე დახმარების აღმოსაჩენად.

ტოკიო. სასებოსა, ნაგასაკსა, ცუსიმასა და ხაკოდატეში გაუქმებულ იქმნა ომიანობის დროის წესები.

ბერლინი. ოფიციალურის ცნობით, 21 სექტემბრამდე სულ 261 შემთხვევა ყოფილა ხოლერით ავადმყოფობისა, ამაში 89 სიკვდილით გათავებულა. მუშაობა დაიწყო ელექტრონის ყველა სადგურებზე, ტრამვაი დაუბრკოლებლად სწარმოებს. გაფიცულებს ფულები დაურიგეს ისე, რომ არავითარი ინციდენტი არ მომხდარა.

ბაქო. მიუხედავად გარნიზონის გაძლიერებისა, მკვლელობა და ცეცხლ-წაკიდება მუდამ დღე ხდება, არავის არა სწამს მშვიდობიანობის სიმტკიცე. მცხოვრებნი პატრულებს დაჰყვებიან. ბევრი მაღაზია ისევ დაკეტილია; პატრონთ ზარალი მოსდით.

ლენქორანიდან საერობო რჩევაში ამოირჩიეს თითქმის ყველა ბეგები თათრებისა, რომელთაგან 9 წინააღმდეგია ერობისა, რადგანაც მცირედნი კაცები არიან. მცხოვრებთ თავად [illegible] არ მიეწვიეს წარმომადგენლების ასარჩევად. გეოკჩაიში რჩევაში შევიდა მხოლოდ ორი სომეხი. იქ [illegible] არჩევნების უფლება ყველას მიეცა და პოლიციაზე ხარჯი ხაზინამ მიიღოსო.

22 სექტემბერი

მოსკოვი. კონსისტორიის პატარა ბაღში მაისნიცკის ქუჩაზე აფეთქება მოხდა. ფიქრობენ, იქ ასაფეთქებელ ნივთიერებით სავსე პარკი იყოო. არავინ არ დაშავებულა.

მოსკოვი, 22 სექტემბერი. რექტორის განკარგულებით უნივერსიტეტი დაიხურა.

ხარკოვი, 21 სექტემბერი. დღევანდელ ყრილობაზე ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტებმა დაადგინეს, გაიღოს ინსტიტუტი, დაბრუნებულ იქნან დათხოვნილი სტუდენტები და პროფესორები, მოისპოს ინსპექცია, დაარსდეს სტუდენტების კლუბი.

პეტერბურგი. საზღვაო მინისტრისადმი უმაღლეს ბრძანებაში ნათქვამია დაუყოვნებლივ მოხდეს ძირითადი რეფორმები ფლოტის საქმეშიო.

ლონდონი. „დეილი-ტელეგრაფ"-ის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, იაპონიის აზრით, რუსეთ-გერმანიის დაახლოვება ერთი ნაბიჯია ფაქტიურად სამთა კავშირის დაარსებისაკენო. ამ კავშირს აზრით შეურთდნენ შეერთებული შტატები. იაპონიაში იმ აზრის არიან, რომ შეერთებული შტატები, გერმანია და რუსეთი ერთ და იმავე მიზანს მისდევენ შორეულ აღმოსავლეთშიო.

ვაშინგტონი, 21 სექტემბერი. როზენი და ტაკახირა დღეს შეხვდნენ სახელმწიფო დეპარტამენტში რატიფიკაციის ფორმალურად მოხმარებაზე მოსალაპარაკებლად.

ბერლინი. ფეციდან მოსულ ოფიციალურ ცნობით სულთანს ხელი მოუწერია გერმანელების ბანკირებთან ჩამოგდებულ ხელშეკრულებაზე; ეს ხელშეკრულება 10 მილიონ მარკის სესხებას შეეხება.

ლონდონი. „სტანდარტ"-ის სიტყვით, ინგლისისა და რუსეთის უთანხმოებას წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს. მათ შორის შეუძლებელია ხელშეკრულების ჩამოგდება, რადგანაც საერთო მტერი არა ჰყავთ. რუსეთმა უარი უნდა სთქვას ავღანისტანისა და სპარსეთის მთლიანობის წინააღმდეგ მისწრაფებაზე შემდეგში.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

21 სექტემბერი

ტოკიო. საიდუმლო საბჭომ მოიწონა სამშვიდობო ხელშეკრულება.

ვენა, 21 სექტემბერი. ავსტრიის ელჩმა, რომელსაც მხარი დაუჭირეს აგრეთვე რუსეთისა და სხვა სახელმწიფოების ელჩებმაც, წარუდგინა გუშინ დიდ ვეზირს პროტესტი მაკედონიაში საერთაშორისო კონტროლის შემოღების მეორეჯერ უარყოფის წინააღმდეგ. ელჩებმა გააფრთხილეს პორტა, რომ საჭიროა ამ საკითხში დათმობაო. მთავრობის წრეებში ჰფიქრობენ, სულთანი იძულებული იქნება დაუთმოსო.

რიგა. „რიჟსკი ვესტნიკ"-ი იუწყება, ამჟამად მთავრობის წრეებში სერიოზული სჯა-ბაასი აქვთ ბალტიის პირა მხარეში საგენერალ-გუბერნატორო ადგილის შესახებო.

ბერლინი. „მორგენ რუნდშაუ"-ში მოთავსებული იქნება ტაინი სოვეტნიკის ჰელფერიხის სტატია, რუსეთ-იაპონიის ომის ფინანსიურ მხარის შესახებ. იგი ამბობს, იაპონიის რენტის აწევა რუსეთის შინაურმა არეულობამ გამოიწვიაო. რუსეთის შინაური შიშიანი მდგომარეობა უფრო ცუდს გავლენას იქონიებს რუსეთის ფინანსების მომავალზე, ვიდრე ომი, რომელმაც, მართალია, მძიმე ტვირთი მიაყენა მრეწველობის ზოგიერთ დარგს, მაგრამ, საზოგადოთ, მხოლოდ ცოტათი შეარყია საერთო მდგომარეობა ქვეყნისა. პირიქით, კავკასიის არეულობებმა მძიმე ტვირთი მისცეს ქვეყანას, რასაც, რაოდენიმედ, ხელი შეუწყო მიმდინარე წლის მოუსავლიანობამ. რუსეთის ფინანსების მომავალ ბედ-იღბლისთვის აუცილებლად საჭიროა შინაურ მშვიდობიანობის ჩამოგდება ისეთ საფუძველზე, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიურ განვითარებასა და ბუნებრივ სიმდიდრის დამუშავებას მეტის სარგებლით. საჭიროა მოხდეს აგრარული და სხვა რეფორმები და დაფარულ იქნას რუსეთი დიდის ხნით გარეშე პოლიტიკის ახალ მსხვერპლთაგანო.

18 სექტემბერი

პეტერბურგი, 19 სექტემბრის განმავლობაში ვისლის პირა მხარეში ხელ-ახლა გახდა ავად ხოლერით 5 და მოკვდა ორი.

გაზეთების სიტყვით ბულიგინის მიერ შედგენილ პროექტის დედა-აზრი შესახებ ციმბირში არჩევნების მოხდენისა სახელმწიფო სათათბიროსთვის შემდეგია: ადგილობრივ ცხოვრების პირობები მხოლოდ ორის საარჩევნო სიეზდის გამართვის საშუალებას იძლევა. ქალაქების ამომრჩევლებისა მიწათ-მფლობელებთან ერთად და გლეხების რწმუნებულებისა. [illegible] რჩევამ მოისმინა აზრი ბულიგინისა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არავითარი საფუძველი არ არის ციმბირის მცხოვრებლებს არ მიეცეს ისეთივე უფლებები წარმომადგენლების არჩევისა, როგორც შიდა გუბერნიებსაო. იაკუტსკის ოლქის ამომრჩეველთა სიეზდებზე იქმნება თითო წარმომადგენელი იმ სოფლებიდან, რომლებშიაც ორასზე მეტი მცხოვრები ირიცხება, იქ, სადაც მცხოვრებლები 500-ს კაცზე მეტია, უნდა აირჩიონ კიდევ ერთი წარმომადგენელი. ამომრჩეველთა სიეზდი ერთია ყველა ჯურის ამომრჩეველთათვის, მასში შედიან ქალაქების, სოფლების და არა რუსთა რწმუნებულნი. გუბერნიების კომისიების შედგენილება არჩევნების საქმეების შესახებ იგივე უნდა იყვეს, როგორც შიდა გუბერნიებში.

ლონდონი. რადგანაც კავკასიაში დროებით შეჩერებულია ნავთის მრეწველობა არეულობების გამო და ინგლისის დიდს საზოგადოებებს აღარ გააქვთ ნავთი, აზიის ნავთის ამხანაგობამა და კურმისამ შეთანხმება მოახდინეს, ისარგებლონ მდგომარეობით და ასწიონ ნავთის ფასი აღმოსავლეთის ბაზრებზე.

მადრიდი. ესპანიის მთავრობა პრინციპიალურად არაა წინააღმდეგი ჰააგის კონფერენციაზე დასწრებისა რუსეთის მიპატიჟებით.

სტამბოლი. პორტას ოფიციალური ცნობა. გამომძიებელმა კომისიამ აღმოაჩინა ვართანიანის ამხანაგი, ვინმე ართარიანი, რომელსაც საქმე აქვს გადაწყვეტილი [illegible] მოკვლისათვის. ორავე ამერიკიდან მოსულან ანარქიის ჩამოსაგდებად ოსმალეთში. ვართანიანისა, ართარიანსა და სხვებს ერთად გაასამართლებენ. სმირნაში დაატუსაღეს სარევოლუციო კომიტეტის წევრი ბომბებით. სომხების სასაფლაოზე [illegible] ბომბები იპოვნეს.

პეტერბურგის ბირჟა 16 სექტემბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ სტ.	93,85
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,65
ბერლინისაზე "	46,80
პარიზისაზე "	37,60
ბირჟის დისკონტი	¼—7%
4% სახელმწიფო რენტა	89¼
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	84,½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	462
5% მე-2 შინ. სეს. მოგ. ბილ. 866 წ.	358
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	286½
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	90⅜
5½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ, ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	83⅝
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	86
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ამცია.	202

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

---

*) [illegible] გარემოება იქვე, ახალ ამბის ბოლოში, აღნიშნულიც არის. რედაქცია.

განცხადებანი

ხა[illegible] დაწესებულება [illegible]ქისოვისა [illegible]ქართულ, რუსულ და ქართ[illegible]ჯიშის ხეხილის ნერგებს.
[illegible]: Ст. Скра З. Ж. Д. Авсаркисову.
კატალოგი მსურველს უფასოდ გაეგზავნება
(5—372—3)

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/8, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (V.)

სკოლა და სახელოსნო
ჭრა-კერვისა და ხელსაქმისა
გადავიდა
ვამადავითის ქუჩაზე, გრიგოლაშვილის სახლებში, ბაღის პირდაპირ, № 5
მიიღებენ ქალთა ტანისამოსს შესაკერად აგრეთვე შეგირდებს ჭრა კერვისა და ხელსაქმის შესასწავლად ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში.
სამკერვალოს გამგე
(7—4) ანა მერკვილაძისა.

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

გაზეთ „ცნობის ფურცლის" რედაქციისაგან
რედაქცია აუწყებს იმას, ვისაც წლის მეორე ნახევრის ფული არ შემოუტანია, დროზე შემოიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობა 1 ღვინობისთვეს. ამასთან სთხოვს რედაქცია ხელის მომწერს, ფულის გამოგზავნის დროს გამოგზავნოს აგრეთვე ბანდეროლიანი ნამდვილი ადრესი.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიკის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდებ. ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ქრესტე ბატონი- მ. კ. შვილისა—პოემა ბაჩანაზი.	— 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 50
ბნელი, მოთხრობა—შელანისა	— 20
აკ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1 —
ი, ჭავჭავაძის I ტომი	— 70
იგივე II და III ტომი თითო	— 60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	— 80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	— 10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	— 60
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	— 55
სიბრძნე ბალავარისა	— 30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	— 10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1 50
რძე, მისივე	1 50
ცხენოსნები და მახვილოსნები, რომანი—ვენრიხ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 20
ხენთი რაფიელისა, თარგ. სომხურიდან კ. ეგანგულოვისა	1 —

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო
რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო.
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. ტხამბაში. (25—25)